

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ბექა ბენიძე

ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში საქონლის იმპორტის  
სტატისტიკური ანალიზი

სამაგისტრო პროგრამა: ეკონომიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მათა გიორგობიანი

ასისტენტ-პროფესორი

თბილისი 2019

## ანოტაცია

**თემის აქტუალობა** - საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების კვალდაკვალ ხდება ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების გაღრმავება. ეკონომიკური თანამშრომლობის ერთ-ერთი ფორმაა საქონლით საგარეო ვაჭრობა, რომლის შემადგენელი ელემენტები დიდ გავლენას ახდენენ ქვეყნის ეკონომიკური გარემოს ფორმირებაზე და ამდენად მისი სტატისტიკური ანალიზი და შესწავლა სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ინტერესის სფეროა.

**კვლევის მიზნები და ამოცანები** - ნაშრომის „ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში საქონლის იმპორტის სტატისტიკური ანალიზი“-ს ძირითადი მიზანია საქონლის იმპორტის სტატისტიკური ანალიზი და მისი ძირითადი გავლენის შეფასება ქვეყნის ეკონომიკურ გარემოზე.

ნაშრომის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს: საქონლით საგარეო ვაჭრობის თეორიული განხილვა, მისი ფორმირების პროცესში გამოყენებული ძირითადი კლასიფიკაციების დახასიათება, საქართველოს საგარეო სავაჭრო ურთიერთობების საერთაშორისო ინტეგრაცია, ევროკავშირის ქვეყნებიდან საქონლის იმპორტის სტატისტიკური ანალიზი გეოგრაფიულ და სასაქონლო ჭრილში.

**კვლევის საგანი და ობიექტი** - ნაშრომის კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს საქონლით საგარეო სავაჭრო ნაკადები და იმპორტის მოცულობის დინამიკა.

კვლევის საგანი კი არის საქონლის იმპორტის ტენდენციები ცალკეული ქვეყნებისა და მათი გაერთიანებების, საქონლის, ორგანიზაციების, ფართო ეკონომიკური კატეგორიების, საქმიანობის სახეების და სხვა და სხვა კლასიფიკაციების მიხედვით.

**ნაშრომის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები** - სამაგისტრო ნაშრომი დაფუძნებულია ქართველი და უცხოელი მკვლევარების მიერ ჩატარებულ თეორიულ და პრაქტიკულ გამოკვლევებსა და დასკვნებზე, ეფუძნება საკანონმდებლო ბაზისა და ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებებს.

კვლევის პროცესში გამოყენებულია როგორც ზოგადი, ისე სპეციფიკური და საინდექსო მეთოდები და ხერხები, როგორცაა: სტატისტიკური დაჯგუფება, შეფარდებითი და საშუალოების მეთოდი და ა. შ.

ნაშრომში გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის და სხვა ორგანიზაციების ოფიციალური მონაცემები და სპეციალური სტატისტიკური კვლევების შედეგები.

## Annotation

**The Relevance of the Research Topic** - Cooperation between countries increases because of the expansion of international economic relations. One of the forms of economic cooperation is external merchandise trade, the elements of which are greatly influenced in the formation of the economic environment of the country, so its statistical analysis and investigation are one of the main interests and priorities of our country.

**Goals and Tasks of the Study** – the main aim of the study “Statistical analysis of import of goods from the EU countries to Georgia” Statistical analysis of import of goods and its main influence on the economic environment of the country.

The main tasks of the work are the theoretical discussion of foreign trade, characterization of the main classifications used in the process of formation, international integration of Georgia's foreign trade relations, statistical analysis of goods import from EU countries in geographical and commodity contexts.

**The Subject and Object of the Research** - The objective of the research is the foreign trade flows and the dynamics of import of goods.

The subject of research is the trend of imports of goods according to the types of activities of individual countries and their associations, goods, organizations, broad economic categories and economic activities.

**Theoretical-Methodological Basis of the Research** - Master's thesis is based on the theoretical and practical examinations and findings conducted by Georgian and foreign researchers, the legislative basis and assessment of local and international organizations in the socio-economic situation in the country.

The general, index and specific methods and techniques used in the research process are: statistical group, relative and medium methods and etc.

The paper uses official data of the National Statistics Office of Georgia, World Bank, International Monetary Fund and other organizations and special statistical studies.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....	7
თავი 1. საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემები და მათი გაანგარიშების სპეციფიკა.....	9
1.1. საქონლის კატეგორიები საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში და მისი თავისებურებები.....	9
1.2. საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური აღრიცხვის სისტემები.....	15
1.3. ძირითადი კლასიფიკაციები და დაჯგუფებები საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში.....	17
1.4. საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, დამუშავება და გავრცელება.....	24
1.5. საგარეო ვაჭრობის მონაცემთა ხარისხზე მოქმედი ფაქტორები .....	27
თავი 2. საქართველოს საგარეო სავაჭრო ურთიერთობების საერთაშორისო ინტეგრაცია და წინ გადადგმული ნაბიჯები .....	29
2.1. საქართველოს ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში.....	29
2.2. საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა .....	31
თავი 3. ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში საქონლის იმპორტის სტატისტიკური ანალიზი.....	37
3.1. საქართველოს საქონლით საგარეო ვაჭრობა 2000-2018 წლებში .....	37
3.2. საქართველოს საქონლის იმპორტის სტატისტიკური ანალიზი 2000-2018 წლებში .....	41
3.3. ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში საქონლის იმპორტის სტატისტიკური ანალიზი.....	52
3.4. ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფების იმპორტი 2010-2018 წლებში .....	56

3.5. საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები და იმპორტიორები ევროკავშირიდან 2010-2018 წლებში.....	67
3.6. ევროკავშირის ქვეყნებიდან საქონლის იმპორტი სხვა და სხვა კლასიფიკაციის მიხედვით .....	70
დასკვნა.....	80
გამოყენებული ლიტერატურა .....	82

## შესავალი

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტემპებმა და პარალელურად ეროვნული ეკონომიკების აქტიურმა სწრაფვამ გლობალიზაციისკენ, ბუნებრივად დააჩქარა ქვეყნებს შორის ურთიერთქმედება და ეკონომიკური კავშირების გაღრმავება. დაჩქარდა სასაქონლო და საფინანსო ბაზრების ფორმირება, რამაც გამოიწვია დიდი ინტერესის ჩამოყალიბება საგარეო ვაჭრობის და მისი ელემენტების მეცნიერული შესწავლისადმი.

საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული ინფორმაციის დროულად მიწოდება, მისი ხარისხი, შესადარისობა და ინფორმაციული კუთხით მაღალი განვითარების დონე უმნიშვნელოვანესია და შეიძლება გამოყენებულ იქნას წარმოების, მოხმარების, დასაქმების და ზოგადად ქვეყნის კეთილდღეობის მრავალმხრივი ანალიზისთვის.

ეკონომიკური აქტივობის ამ მიმართულების მიმართ სტატისტიკური მონაცემების არსებობის მნიშვნელოვნება განპირობებულია ხელისუფლების მიერ მრავალ ქვეყანასთან სამთავრობო დონეზე გაფორმებული ორმხრივი შეთანხმებებითაც. შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნებს შორის ურთიერთობის დაწყების ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი სწორედ სტატისტიკური ინფორმაციის გაცვლით იწყება.

მიმდინარე გლობალიზაციური პროცესების კვალდაკვალ მნიშვნელოვნად იზრდება ზოგადად სტატისტიკის მნიშვნელობა, რათა კონკრეტული ქვეყნის განვითარების მიმდინარე ტენდენციის რეალურთან მაქსიმალურად მიახლოებული ასახვა მოხდეს.

ინტეგრაციული პროცესების გაღრმავების ფონზე აუცილებელია ეროვნული სტატისტიკური სისტემა ჩაერთოს მსოფლიო სტატისტიკურ სისტემაში, რაც მოითხოვს ოფიციალური სტატისტიკის მეტად განვითარებას და საერთაშორისო სტანდარტების მაქსიმალურად ჰარმონიზაციას.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტენდენციების დასადგენად, საერთაშორისო და რეგიონული, ასევე, ცალკეული ქვეყნის კონკრეტული დარგის თუ ეკონომიკური ერთეულის შესაფასებლად აუცილებელია შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის გამოყენება, რადგან ამა თუ იმ ქვეყნის საგარეო ეკონომიკური კავშირების რაოდენობრივი შესწავლა, მათი სტატისტიკური ანალიზი და პროგნოზირება ქვეყნის

საგარეო ეკონომიკური და სავალუტო-საფინანსო პოლიტიკის შემუშავების აუცილებელი ინსტრუმენტია. აქედან გამომდინარე, აღნიშნული სფეროს ეკონომიკურ-სტატისტიკური კვლევა მეტად აქტუალური პრობლემაა და ნებისმიერი ქვეყნის ინტერესის საგანს წარმოადგენს.

საგარეო სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები ხასიათდებიან გარკვეულ მაჩვენებელთა სისტემით, რომელთა შორის გამოიყოფა როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი მახასიათებლები. ნაშრომში განხილული იქნება ერთ-ერთი მაჩვენებელი - საქონლის იმპორტი ევროკავშირის ქვეყნებიდან და მისი სტატისტიკური ანალიზი.

ნაშრომის ძირითად მიზნებს და ამოცანებს წარმოადგენს:

- საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში გამოყენებული სასაქონლო კატეგორიების და თავისებურებების განხილვა;
- საქონლით საგარეო ვაჭრობის მეთოდოლოგიის გაცნობა;
- სტატისტიკური აღრიცხვის სისტემების დახასიათება;
- საქართველოს საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში გამოყენებული ძირითადი კლასიფიკაციების გაცნობა;
- საქართველოში საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, დამუშავების და გავრცელების პრაქტიკის განხილვა;
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან და მსოფლიოსთან ინტეგრაციის კუთხით წინ გადადგმული ნაბიჯების შეფასება;
- საგარეო ვაჭრობის შემადგენელი კომპონენტების ზოგადი ანალიზი;
- საქართველოს საქონლის იმპორტის სტატისტიკური ანალიზი;
- ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებული საქონლის იმპორტის სტატისტიკური ანალიზი;
- მიღებული შედეგების მიხედვით დასკვნების გამოტანა.

# თავი 1. საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემები და მათი გაანგარიშების სპეციფიკა

## 1.1. საქონლის კატეგორიები საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში და მისი თავისებურებები

საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა არის საზოგადოებრივ-ეკონომიკური მეცნიერება, რომელიც შეისწავლის საგარეო სავაჭრო ნაკადების რაოდენობრივ მხარეს, მისი განვითარების კანონზომიერებებს, თვისებრივ მხარესთან მჭიდრო კავშირში კონკრეტულ დროსა და სივრცეში.

საქონლით საგარეო ვაჭრობის დასახასიათებლად პირველ რიგში საჭიროა გავეცნოთ მის ძირითად დეფინიციას - საქონელს, რომელსაც შეიძლება გააჩნდეს ნივთობრივი ფორმა ან წარმოდგენილი იყოს აირის და ენერჯის (ელექტრო ენერჯის) სახით. საგარეო ვაჭრობა მიმდინარეობს უამრავი სახის საქონლით. ყველა ქვეყნისთვის საქონლის ჩამონათვლის უნიფიცირებისა და შესადარისობის უზრუნველსაყოფად მსოფლიოს ბევრი ქვეყანა იყენებს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომეკლატურის ჰარმონიზებულ სისტემას.

როგორც ავლნიშნეთ, საგარეო-სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები ხასიათდებიან გარკვეულ მაჩვენებელთა სისტემით. მათ განეკუთვნება: ექსპორტი, იმპორტი, ექსპორტ-იმპორტის ანუ საგარეო ვაჭრობის სალდო, საგარეო სავაჭრო ბრუნვა, რეექსპორტი, რეიმპორტი და სხვა.

საქონლის ექსპორტი და იმპორტი არის კომერციული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია მატერიალურ-ნივთობრივი ფორმით საქონლის ყიდვა-გაყიდვასთან. იმის გამო, რომ ერთი ქვეყნიდან მეორეში საქონლის გადაადგილება მხედველობით აღიქმება, ზოგჯერ მათ „ხილულ“ ექსპორტს და იმპორტს უწოდებენ.

საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციების სახესხვაობებია რეექსპორტი და რეიმპორტი.

საქონლის რეექსპორტი გულისხმობს საზღვარგარეთიდან ადრე იმპორტირებული საქონლის ექსპორტს მისი გადამუშავების გარეშე ან უმნიშვნელო გადამუშავების (დახარისხება, გასუფთავება, ხელახალი შეფუთვა და ა. შ.) შემდეგ.

საქონლის რეიმპორტი გულისხმობს უცხოეთში ადრე გატანილი ადგილობრივი წარმოების საქონლის უკან შემოტანას მისი გადამუშავების გარეშე ან უმნიშვნელო გადამუშავების შემდეგ.

რეიმპორტს მიეკუთვნება, ასევე, საქონლის დაბრუნება, რომელიც ადრე შუამავლის მიერ იყო გატანილი, მაგრამ მისი გასაღება ვერ მოხერხდა - დაწუნებულია მყიდველის მიერ, ან ადგილი აქვს სხვადასხვა სახის პოლიტიკურ-ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს, რომლის შედეგად საზღვარზე გადაადგილებული საქონელი უკან ბრუნდება.

თუმცა, საზღვარგარეთ ადრე გატანილი ისეთი საქონლის უკან შემოტანა, როგორცაა საგამოფენო ექსპონატები, დოღებში და სხვა წარმოდგენებში მონაწილე ცხოველები და ა.შ. რეიმპორტში არ აისახება. ასეთი ოპერაცია მიეკუთვნება დროებითი რეჟიმის სავაჭრო ოპერაციას და ის საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში აღრიცხვას არ ექვემდებარება.

გარდა იმისა, რომ რეექსპორტი უნდა აისახოს ქვეყნის ექსპორტის და რეიმპორტი – იმპორტის სტატისტიკაში, გარკვეული ანალიტიკური მიზნებისათვის, რეკომენდებულია მათი ცალკე აღრიცხვაც. ეს მოითხოვს დამატებითი ინფორმაციის არსებობას რეექსპორტისა და რეიმპორტის წარმომავლობის განსაზღვრისათვის, რათა დავრწმუნდეთ, რომ ეს საქონელი ნამდვილად წარმოადგენს რეექსპორტს ან რეიმპორტს და არა საქონელს, რომლებმაც გადამუშავების შედეგად მიიღეს ეროვნული (ექსპორტის შემთხვევაში) ან უცხოური (იმპორტის შემთხვევაში) წარმოების საქონლის სტატუსი.

კიოტოს კონვენციის თანახმად, მოცემულ ქვეყანაში სრულად წარმოებულ საქონელს მიეკუთვნება შემდეგი პოზიციები:

- მინერალური პროდუქტები, რომლებიც მოპოვებულია ამ ქვეყნის საბადოებიდან, ტერიტორიული წყლებიდან ან მისი ზღვის ფსკერიდან;
- მცენარეული წარმოშობის პროდუქტები, მოყვანილი და აღებული მოცემულ ქვეყანაში;

- ცოცხალი ცხოველები, შობილი ან გამოზრდილი მოცემულ ქვეყანაში;
- პროდუქტი, მიღებული ცოცხალი ცხოველებიდან მოცემულ ქვეყანაში;
- პროდუქტი მიღებული მოცემულ ქვეყანაში ნადირობის ან თევზჭერის შედეგად;
- საქონელი, მიღებული უშუალოდ ამ ქვეყანაში წარმოებული პროდუქტებისგან.

იმ შემთხვევაში, როცა საქონლის წარმოებაში მონაწილეობს რამდენიმე ქვეყანა, წარმოშობის დასადგენად, კოტოს კონვენციის თანახმად, გამოიყენება „არსებითი ტრანსფორმაციის კრიტერიუმი“. ამის მიხედვით, საქონლის წარმოშობის ქვეყნად ითვლება საბოლოო გადამუშავების ქვეყანა, სადაც მოხდა არსებითი გადამუშავება ან ისეთი სახის გადამუშავება, რომელმაც საქონელს მიანიჭა ძირითადი მახასიათებლები. ის შეიძლება განისაზღვროს საქონლის შემადგენლობაში გამოყენებული მასალის ღირებულების ან საქონლის დამატებული ღირებულების წილით.

ექსპორტ-იმპორტის ანუ საგარეო ვაჭრობის სალდო ეწოდება სხვაობას ექსპორტსა და იმპორტს შორის. ის შეიძლება იყოს აქტიური (+ ნიშნით), როცა ექსპორტი აჭარბებს იმპორტს და პასიური (- ნიშნით), როცა საწინააღმდეგო შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

საგარეო ვაჭრობის სალდოს სხვაგვარად წმინდა ექსპორტს უწოდებენ.

საგარეო სავაჭრო ბალანსი გულისხმობს, რომ ექსპორტი უდრის იმპორტს ე.ი. წმინდა ექსპორტი უდრის ნულს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში მსგავს ბალანსს ფაქტიურად არ აქვს ადგილი.

ყველა საქონელი, რომელიც საზღვარზე გადაადგილდება, საერთაშორისო მეთოდოლოგიის თანახმად, არ შეიძლება განხილულ იყოს, როგორც საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის შესწავლის საგანი.

საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში აღირიცხება შემდეგი საქონელი:

- არამონეტარული ოქრო, რომელიც შეიძლება იყოს დამუშავებული ან ნახევრად დამუშავებული და ოფიციალურ მიმოქცევაში არმყოფი;
- მიმოქცევაში არმყოფი ბანკნოტები, ფასიანი ქაღალდები და მონეტები, რომლებიც ითვლებიან საქონლად და არა ფინანსურ ინსტრუმენტებად;
- ბარტერული გარიგების საფუძველზე რეალიზებული საქონელი;

- ჰუმანიტარული ტვირთები;
- სამხედრო დანიშნულების საქონელი - ასეთ საქონელთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაცია როგორც წესი კონფიდენციალურია, თუმცა საქართველოში საბაჟოსა და სტატისტიკურ უწყებებს შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, ეს ინფორმაცია სტატისტიკურ ორგანოებს მიეწოდება, რა თქმა უნდა კონფიდენციალურობის დაცვის პირობით;
- საქონელი, რომელიც გამოიყენება ინფორმაციის მატარებლის ან პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებად;
- გადამუშავებისთვის განკუთვნილი საქონელი;
- უკან დაბრუნებული საქონელი;
- ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და წყალი;
- საფოსტო და საკურიერო სამსახურების მეშვეობით გადაადგილებული საქონელი;
- მიგრანტების ქონება;
- სტატისტიკური აღრიცხვის ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე განლაგებული ოფშორული საწარმოების მიერ მიღებული ან გაგზავნილი საქონელი ასევე უნდა აღრიცხოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში;
- საჩუქრები და შემოწირულობები;
- ექსპლუატაციაში ნამყოფი საქონელი;
- ნარჩენი და ჯართი, თუ მათ აქვთ საბაზრო ღირებულება;
- და სხვა საქონელი.

რაც შეეხება საქონელს, რომელიც არ ექვემდებარება საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში აღრიცხვას, წარმოადგენს:

- მონეტარული ოქრო, რომელიც განიხილება, როგორც საფინანსო აქტივი;
- მიმოქცევაში მყოფი ბანკნოტები, ფასიანი ქაღალდები და მონეტები, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური უზრუნველყოფის ნიშნებს;
- დროებით შემოტანილი და გატანილი საქონელი;
- სატრანზიტო ტვირთები;

- დიპლომატიური ტვირთები;
- რეზიდენტის მიერ არაფინანსური აქტივის გადაცემა არარეზიდენტისთვის, საზღვრის გადაკვეთის გარეშე;
- საქონელი, რომელიც განიხილება, როგორც მომსახურებით ვაჭრობა, ეს კატეგორია მოიცავს:
  1. ყველა კატეგორიის მგზავრის მიერ საზღვარზე გადატანილ საქონელს, რომლებიც არ აღემატება ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს;
  2. გაზეთები და პერიოდული გამოცემები, რომლებიც იგზავნება პირდაპირი გამოწერის წესით;
  3. საქონელი მოწოდებული უცხოური სახელმწიფოების საელჩოების, სამხედრო და სამეცნიერო ბაზების და ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, რომლებიც განლაგებულია მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე.
- საქონელი შესყიდული შემდგომი გადაყიდვისთვის;
- სარემონტოდ განკუთვნილი საქონელი;
- და სხვა სახის საქონელი.

უნდა აღინიშნოს, რომ საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის 2010 წლის რეკომენდაციის თანახმად ზოგიერთი საქონელი, რომელიც უნდა აღირიცხოს ან არა საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში, ნებისმიერ შემთხვევაში ცალკე უნდა აისახოს საგადასახდლო ბალანსისა და ეროვნული ანგარიშების წარმოების საჭიროებიდან გამომდინარე.

საგადასახდლო ბალანსში საქონლის ექსპორტ-იმპორტის შესახებ ინფორმაციის დაფიქსირება ხდება საკუთრების უფლების ცვლილების მიხედვით, განსხვავებით საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკისგან, რომლის ძირითადი კრიტერიუმს ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვის დროს წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთა.

შესაბამისად, საგადასახდელო ბალანსში დაფიქსირებული და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის განყოფილების რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავებული მეთოდოლოგიის<sup>1</sup> მიხედვით საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები ერთმანეთისგან განსხვავდება.

საქონელი, რომელიც არ უნდა აისახოს საქონლით საგარეო ვაჭრობაში, მაგრამ ასევე უნდა აისახოს ცალკე, განეკუთვნება:

- სარემონტო და ტექნიკური მახასიათებლების შეცვლის მიზნით გადაადგილებული საქონელი;
- ნარჩენები და ჯართი, თუ მათ არ აქვთ კომერციული ღირებულება;
- საზღვარზე არალეგალურად გადაადგილებული საქონელი.

საქონელი, რომელიც უნდა აისახოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში, და ასევე, ცალკე უნდა აღირიცხოს, მიეკუთვნება მაგალითად გადამუშავებისთვის განკუთვნილი საქონელი.

საქართველოს კანონმდებლობით, საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა ხდება მხოლოდ საბაჟო რეჟიმების შესაბამისად.

საბაჟო რეჟიმი იმ დებულებათა ერთობლიობაა, რომლებიც განსაზღვრავენ საბაჟო საზღვრის საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით გადაკვეთის წესსა და მიზნებს.

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად, საბაჟო რეგულირების მიზნით დაწესებულია შემდეგი სახის ძირითადი საბაჟო რეჟიმები:

---

<sup>1</sup> „საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა, კონცეფციები და განსაზღვრებები, 2010 წ.“ (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, 2011 წ.) და „საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა: სახელმძღვანელო შემდგენელთათვის (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, 2013 წ.)“

## ცხრილი N 1.1.

### საბაჟო რეჟიმები

N	საბაჟო რეჟიმის დასახელება	რეჟიმის კოდი
1	თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება (იმპორტი)	40
2	რეიმპორტი	41
3	ტრანზიტი	80
4	საბაჟო საწყობში საქონლის შენახვა	74
5	გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე	51
6	დროებითი შემოტანა და/ან გატანა	31
7	გადამუშავება საბაჟო ტერიტორიის გარეთ	61
8	ექსპორტი	10
9	რეექსპორტი	11

## 1.2. საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური აღრიცხვის სისტემები

არსებობს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური აღრიცხვის ზოგადი და სპეციალური სისტემები.

აღრიცხვის ზოგადი სისტემა გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა ქვეყნის სტატისტიკური ტერიტორია ემთხვევა ეკონომიკურ ტერიტორიას. ვაჭრობის ზოგადი სისტემის გამოყენების შემთხვევაში სტატისტიკური ტერიტორია უნდა მოიცავდეს შემდეგ ტერიტორიულ ერთეულებს:

1. კუნძულები;
2. ტერიტორიული წყლები;
3. კონტინენტური შელფი;

4. ოფშორული ან კოსმოსური დანადგარები და აპარატები;
5. თავისუფალი ვაჭრობის ზონები;
6. თავისუფალი ინდუსტრიული ან ეკონომიკური ზონები;
7. საბაჟო საწყობები;
8. შიდა გადამუშავების ადგილები.

სპეციალური სისტემა გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როცა სტატისტიკური ტერიტორია წარმოადგენს ეკონომიკური ტერიტორიის გარკვეულ ნაწილს. არსებობს სპეციალური სისტემის „ფართო“ და „ვიწრო“ გაგება.

„ვიწრო“ გაგება მოიცავს შემთხვევას, როდესაც სტატისტიკური ტერიტორია მოიცავს მხოლოდ თავისუფალი მიმოქცევის ზონას ანუ ადგილს, სადაც საქონელი შეიძლება რეალიზებულ იქნას ყოველგვარი საბაჟო შეზღუდვების გარეშე.

„ფართო“ გაგების სტატისტიკური აღრიცხვის სისტემის მიხედვით კი, თავისუფალი მიმოქცევის ზონაში რეალიზებული საქონლის გარდა, ის ასევე შეიცავს საქონლის იმპორტს შიდა გადამუშავების მიზნით ან გადამუშავების შემდგომ საქონლის ექსპორტს.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის 2010 წლის რეკომენდაციის თანახმად ქვეყნებმა სასურველია გამოიყენონ სტატისტიკური აღრიცხვის ზოგადი სისტემა.

საქართველო იყენებს საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის ზოგად სისტემას, რაც ნიშნავს, რომ საქონლის ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვის ძირითადი კრიტერიუმია მის მიერ ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის საზღვრის გადაკვეთა.

### 1.3. ძირითადი კლასიფიკაციები და დაჯგუფებები საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში

საგარეო ვაჭრობის სასაქონლო ნაკადების სტრუქტურის სტატისტიკური ანალიზი წარმოებს საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც არსებობს კონკრეტული საქონლის თუ საქონლის ჯგუფის დეტალიზაციის სხვა და სხვა დონე. აუცილებელია ქვეყნებმა გამოიყენონ ძალზედ დეტალიზებული კლასიფიკაცია, რათა საქონლით საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული ინფორმაცია იყოს მაქსიმალურად შესადარი და მრავალფეროვანი.

ძალზე დეტალური კლასიფიკაციის გამოყენების აუცილებლობა განსაზღვრულია საბაჟო და სტატისტიკური მოთხოვნების საკმაოდ რთული ხასიათით. დღესდღეისობით საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში გამოყენებულ კლასიფიკაციებს თუ დეტალიზაციის სხვა და სხვა დონეებს წარმოადგენენ:

- საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემა (HS 2012-2017 კომბინირებული);
- საერთაშორისო სტანდარტული სავაჭრო კლასიფიკაცია (SITC Rev.4) (2006), რომელიც ეკონომიკური ანალიზისათვის უფრო მისაღებია და სადაც საქონელი კლასიფიცირებულია მისი წარმოების სტადიების მიხედვით;
- კლასიფიკაცია ფართო ეკონომიკური კატეგორიების მიხედვით (BEC Rev. 4) (2003), რომელიც ანალიტიკურ მიზნებს ემსახურება და სადაც საქონლის მსხვილი ეკონომიკური ჯგუფები კლასიფიცირებულია მათი საბოლოო გამოყენების მიხედვით;
- კლასიფიკატორი ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით (NACE Rev. 2) (2016) წარმოადგენს ეკონომიკური და სოციალური ინფორმაციის კლასიფიკაციისა და კოდირების ეროვნული სისტემის შემადგენელ ნაწილს;
- ტრანსპორტირების სახეობების კლასიფიკაცია (2008) , რომელიც მოიცავს საჰაერო ტრანსპორტს, საზღვაო ტრანსპორტს (წყლის ტრანსპორტი, შიდა

წყლის ტრანსპორტი), სახმელეთო ტრანსპორტს (რკინიგზა, საავტომობილო ტრანსპორტი) და სხვაგან დაუსახელებელ ტრანსპორტს (მილსადენები და ელექტროგადამცემი ხაზები, საფოსტო გზავნილები, მეილი, კურიერის გადაზიდვები, თვითმავალი ტრანსპორტი ან სხვა სატრანსპორტო საშუალება);

➤ საქონლის ექსპორტ-იმპორტი მოვაჭრე სუბიექტების ზომის მიხედვით.

საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემა (HS) მოწონებული იქნა საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს მიერ 1983 წელს, ხოლო საერთაშორისო კონვენცია ჰარმონიზებული სისტემის შესახებ ძალაში შევიდა 1988 წელს.

გაეროს სტატისტიკურმა კომისიამ 1993 წელს გამოსცა რეკომენდაცია მისი წევრი ქვეყნებისთვის, რომ საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა შეგროვების, დამუშავებისა და გავრცელებისას გამოიყენებინათ ჰარმონიზებული სისტემა.

საქართველოში 2006 წლის სექტემბრამდე მოქმედებდა სეს სნ-ის 1997 წლის ვერსია, რომლის მაქსიმალური დეტალიზაცია შესაძლებელი იყო 9 ნიშნა დონეზე. 2006 წლის სექტემბრიდან ამოქმედდა სეს ესნ-ის 2002 წლის ვერსია, მისი დეტალიზაცია მოხდა 11 ნიშნა დონეზე და ბოლო ორი ნიშანი წარმოადგენდა ეროვნულ ნიშანს. 2012 წლის ივლისამდე გამოიყენებოდა ჰარმონიზებული სისტემის 2007 წლის ვერსია, რომელიც საქართველოში 2009 წლის 28 დეკემბრიდან შევიდა მოქმედებაში.

2012 წელს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოებაში, საერთაშორისოდ აღიარებული პრაქტიკის შესაბამისად, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის ჰარმონიზებული სისტემის HS 2007 ვერსიიდან გადავიდა ახალ HS 2012 ვერსიაზე. 2017 წლიდან კი საქსტატი ეტაპობრივად გადადის 2012-2017 წლის სასაქონლო ნომენკლატურის კომბინირებულ ვარიანტზე.

ჰარმონიზებული სისტემის ზოგადი სტრუქტურა, რომელსაც დღეს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური იყენებს შედგება 22 კარისგან და 99 ჯგუფისგან. ჯგუფები ჩაშლილია 2, 4, 6, 9 და 11 ნიშნა დონეზე. უმაღლეს დონეს წარმოადგენს კარები. ესენია:

კარი I - ცოცხალი ცხოველები; ცხოველური წარმოშობის პროდუქტები;

კარი II - მცენარეული წარმოშობის პროდუქტები;

კარი III - ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის ცხიმები და ზეთები და მათი გახლეჩის პროდუქტები; მზა საკვები ცხიმები; ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის ცვილები;

კარი IV - კვების მზა პროდუქტები; ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები და ძმარი; თამბაქო და მისი შემცვლელები;

კარი V - მინერალური პროდუქტები;

კარი VI - ქიმიური და მასთან დაკავშირებული მრეწველობის დარგების პროდუქცია;

კარი VII - პლასტმასები და მათი ნაწარმი; კაუჩუკი, რეზინი და მათი ნაწარმი;

კარი VIII - დაუმუშავებელი ტყავები, გამოქნილი ტყავი, ნატურალური ბეწვი და მათი ნაწარმი; სასარაჯო-საუნაგირე ნაწარმი და აკაზმულობა; სამგზავრო ნივთები, ქალის ჩანთები და ანალოგიური საქონელი; ნაწარმი ცხოველების ნაწლავებისაგან (აბრეშუმის ჭიის ფიბრიონის ბოჭკოს გარდა);

კარი IX - მერქანი და მერქნის ნაწარმი; ხის ნახშირი; კორპი და მისი ნაწარმი; ჩალის, ალფის ან სხვა მასალის წნული; კალათები და სხვა მოწნული ნაწარმი;

კარი X - მასა მერქნის ან სხვა ბოჭკოვანი და ცელულოზური მასალებისგან; რეგენერირებული ქაღალდი ან მუყაო (მაკულატურა და ნარჩენები); ქაღალდი, მუყაო და მათი ნაწარმი;

კარი XI - ტექსტილის (საფეიქრო) მასალები და ტექსტილის ნაწარმი;

კარი XII - ფეხსაცმელი, თავსაბურავები, ქოლგები, მზისაგან დასაცავი ქოლგები, ხელჯოხები და ხელჯოხ-დასაჯდომები, შოლტები, მათრახები და მათი ნაწილები; დამუშავებული ნაკრტენი და მისი ნაწარმი; ხელოვნური ყვავილები; ნაწარმი ადამიანის თმისაგან;

კარი XIII - ქვის, თაბაშირის, ცემენტის, აზბესტის, ქარსის ან ანალოგიური მასალების ნაწარმი; კერამიკული ნაწარმი; მინა და მისი ნაწარმი;

კარი XIV - მარგალიტი ბუნებრივი ან კულტივირებული, ძვირფასი ან ნახევრადძვირფასი ქვები; ძვირფასი ლითონები, ძვირფასი ლითონებით მიტკეცილი ლითონები და მათი ნაწარმი; ბიჟუტერია; მონეტები

კარი XV - არამვირფასი ლითონები და მათი ნაწარმი;

კარი XVI - მანქანები, მოწყობილობები და მექანიზმები; ელექტროტექნიკური მოწყობილობები; მათი ნაწილები; ბგერათჩამწერი და ბგერათაღმწარმოებელი აპარატურა; სატელევიზიო გამოსახულებისა და ხმის ჩამწერი და აღმწარმოებელი აპარატურა, მათი ნაწილები და საკუთნოები;

კარი XVII - მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებები, საფრენი აპარატები, მცურავი საშუალებები და ტრანსპორტთან დაკავშირებული მოწყობილობები და დანადგარები;

კარი XVIII - ინსტრუმენტები და აპარატები ოპტიკური, ფოტოგრაფიული, კინემატოგრაფიული, საზომი, საკონტროლო, პრეციზიული, სამედიცინო ან ქირურგიული; ყველა სახის საათები; მუსიკალური ინსტრუმენტები; მათი ნაწილები და საკუთნოები;

კარი XIX - იარაღი და საბრძოლო მასალები; მათი ნაწილები და საკუთნოები;

კარი XX - სხვადასხვა სამრეწველო საქონელი;

კარი XXI - ხელოვნების ნიმუშები, საკოლექციო ნივთები და ანტიკვარიატი;

კარი XXII - კლასიფიკაციის განსაკუთრებული პირობები; საქონელი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის.

საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა ( სეს ესნ ) კი წარმოადგენს გარკვეული სახით სისტემატიზირებულ საგარეო ვაჭრობის საქონელთა ნუსხას. სეს ესნ-ს საფუძვლად უდევს ე.წ. საქონლის აღწერის და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის (HS) ნომენკლატურა რომელმაც დღეისათვის მთელ მსოფლიოში ჰპოვა გავრცელება. შესაბამისად (HS) – ის კლასიფიკაციის პრინციპები მთლიანად გათვალისწინებულია სეს ესნ-ში. მაგალითად ქართული ნაწარმის შემთხვევაში 11 ნიშნა დონეზე ჩაშლილია: ქართული წარმოების ღვინოები: გურჯაანი, მუკუზანი, საფერავი, ტვიში, ტიბაანი, ქინძმარაული, წინანდალი, ხვანჭკარა, ქართული წარმოების ბუნებრივი მინერალური და მტკნარი წყლები, როგორებიცაა: ბორჯომი, ნაბეღლავი, საირმე, კოკატაური, ზანავი, ბორჯომის წყაროები, ბაკურიანი, გევა, ბახმარო, სქური, ქართული წარმოების სპირტიანი სასმელები: ენისელი და გრემი.

2004 წელს სტატისტიკურმა კომისიამ, 35-ე სესიაზე, მიიღო გადაწყვეტილება, რომ ჰარმონიზებულ სისტემაში შესული მრავალრიცხოვანი ცვლილებების გამო, მოემზადებინათ საქონლის საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული (Standart international Trade Classification –SITC) კლასიფიკაციის მეოთხე ვარიანტი შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- საქონლის წარმოებისას გამოყენებული მასალის შემადგენლობა;
- სამრეწველო გადამუშავების სტადია;
- პროდუქტის დანიშნულება და სავაჭრო პრაქტიკა;
- საქონლის ადგილი საერთაშორისო ვაჭრობაში;
- ტექნოლოგიური ცვლილებები.

კლასიფიკატორის მეოთხე გადამუშავებული ვერსია გამოქვეყნდა 2006 წელს და ის მოიცავს 3 993 ძირითად თავს და ქვეთავს, რომლებიც ერთიანდება 262 ქვეჯგუფში, 67 ჯგუფში და 10 სექციაში, რომელთა სტრუქტურა ასეთია:

სექცია N0 - საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები;

სექცია N1 - სასმელები და თამბაქო;

სექცია N2 - არასაკვები ნედლეული, საწვავის გარდა;

სექცია N3 - მინერალური საწვავი, საპოხი ზეთები და ანალოგიური მასალები;

სექცია N4 - მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ზეთები, ცხიმები და ვაქსები;

სექცია N5 - სხვა კატეგორიაში ჩაურთველი ქიმიური და ანალოგიური პროდუქტები;

სექცია N6 - სამრეწველო საქონელი, რომელიც ძირითადად კლასიფიცირებულია შემადგენელი მასალის მიხედვით;

სექცია N7 - მანქანები და სატრანსპორტო მოწყობილობები;

სექცია N8 - სხვადასხვა მზა ნაწარმი;

სექცია N9 - საქონელი, რომელსაც არ მოიცავს აღნიშნული კლასიფიკაციის სხვა კატეგორია.

რაც შეეხება კლასიფიკაციას ფართო ეკონომიკური კატეგორიების მიხედვით (Broad Economic Categories - BEC) ის ძირითადად შემუშავებული იქნა გაეროს

სტატისტიკური განყოფილების მიერ საერთაშორისო ვაჭრობის მონაცემების დაჯგუფებისათვის საქონლის გაფართოებული ეკონომიკური კატეგორიების მიხედვით, სპეციფიკური ანალიტიკური მიზნებიდან გამომდინარე.

აღნიშნული კლასიფიკატორი მოიცავს 19 ძირითად კატეგორიას, რომლებიც აგრეგირებულია საქონლის შვიდ ჯგუფში:

ჯგუფი N1 – სასმელი და საკვები პროდუქტები;

ჯგუფი N2 – სამრეწველო პროდუქცია (სხვა ადგილას დაუსახელებელი);

ჯგუფი N3 – საწვავი და საპოხი მასალები;

ჯგუფი N4 – კაპიტალური საქონელი (გარდა სატრანსპორტო საშუალებებისა)

სათადარიგო ნაწილებისა და აქსესუარების ჩათვლით;

ჯგუფი N5 – სატრანსპორტო საშუალებები, მათი ნაწილები და აქსესუარები;

ჯგუფი N6 – სამომხმარებლო საქონელი (სხვა ადგილას დაუსახელებელი);

ჯგუფი N7 – სხვაგან დაუსახელებელი დანარჩენი საქონელი.

რაც შეეხება ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული სტატისტიკური კლასიფიკატორის ოფიციალურ ვერსიას, ის შემუშავებულია ევროკავშირის სტატისტიკური ეკონომიკური საქმეების კლასიფიკატორის NACE REV. 2 Statistical classification of economic activities in the European Community-ის ბაზაზე.

ასეთი გამოცემის აუცილებლობა განპირობებული იქნა მსოფლიოს სტატისტიკოსების (მათ შორის გაეროსა და ევროკავშირის სტატისტიკური სამსახურების) მოთხოვნებით კიდევ უფრო ამაღლებინათ სხვადასხვა სახელმწიფოებში წარმოებული ოფიციალური სტატისტიკის თავსებადობისა და ჰარმონიზების დონე.

კლასიფიკატორის ევროპული ვერსია ადაპტირებულია გაეროს საქმიანობის სახეების კლასიფიკატორთან (ISIC). მისი სტრუქტურა მნიშვნელოვნად იქნა დეტალიზებული ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკური საქმიანობების სახეების წარმოსაჩენად, რომლებიც არასაკმარისად იყო ასახული ძველ ვერსიებში ( NACE 001-97 და NACE 001-2004) ამასთან ერთად გათვალისწინებული იქნა ეროვნული კლასიფიკატორების სპეციფიკური მახასიათებლები, რის გამოც კლასიფიკატორში შეყვანილი იქნა არა მარტო ის საქმიანობები, რომლებიც მნიშვნელოვანია ევროკავშირის

ყველა ქვეყნისთვის, არამედ ისეთებიც, რომლებიც მნიშვნელოვანია ზოგიერთი ცალკეული ქვეყნისთვის, მაგრამ არცთუ ისე მნიშვნელოვანია სხვებისთვის. ამ გარემოებამ განაპირობა კლასიფიკატორის დაჯგუფებების მნიშვნელოვანი გაზრდა.

ეს კლასიფიკატორი აგრეთვე გამოიყენება სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, სერტიფიცირების, საწარმო-საფინანსო, საბანკო, საბაჟო-სატარიფო და სხვა სამსახურების საქმიანობაში.

ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკატორი შედგება ორი ბლოკისგან: საიდენტიფიკაციო და დასახელებების ბლოკი. საიდენტიფიკაციო ბლოკს აქვს კლასიფიკაციის იერარქიული სტრუქტურა და კოდირების სისტემა ანბანურ-ციფრული კოდის გამოყენებით.

საკლასიფიკაციო ობიექტის კოდს აქვს შემდეგი სახე:

Y - სექცია XX - განყოფილება XX.X - ჯგუფი XX.XX - კლასი XX.XX.X - ქვეკლასი.

ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით კლასიფიკაციის მეორე რედაქცია მოიცავს შემდეგ სექციებს:

- A- სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა;
- B- სამთომოპოვებითი მრეწველობა;
- C- დამამუშავებელი მრეწველობა;
- D- ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება;
- E- წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები;
- F- მშენებლობა;
- G- საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი;
- H- ტრანსპორტი და დასაწყობება;
- I- განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები;
- J- ინფორმაცია და კომუნიკაცია;
- K- საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები;
- L- უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები;

- M - პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები;
- N - ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები;
- O - სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება;
- P - განათლება;
- Q - ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები;
- R - ხელოვნება, გართობა და დასვენება;
- S - სხვა სახის მომსახურება;
- T - შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის;
- U - ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები.

#### **1.4. საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, დამუშავება და გავრცელება**

საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა ფორმირება ხორციელდება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის განყოფილების რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავებული მეთოდოლოგიის - „საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა, კონცეფციები და განსაზღვრებები, 2010 წ.“ (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, 2011 წ.) და „საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა: სახელმძღვანელო შემდგენელთათვის (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, 2013 წ.) შესაბამისად.

საგარეო სავაჭრო ოპერაციების შესახებ ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენს სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების მონაცემთა ბაზა, რომელსაც

სტატისტიკის ეროვნული სამსახური ყოველთვიურად იღებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან. ამასთან, ინფორმაცია სატრანსპორტო საშუალებებით ვაჭრობის შესახებ, დამატებით მიიღება, შსს-ის მომსახურების სააგენტოდან, ხოლო ბუნებრივი აირისა და ელექტროენერჯის ექსპორტ-იმპორტის შესახებ ინფორმაციის ძირითად წყაროებს წარმოადგენს შესაბამისად, შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“.

საქსტატი შემოსავლების სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ახორციელებს: - სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების მონაცემთა ბაზის კონტროლს ძირითადი ინფორმაციული ველების მიხედვით-საქონლის კოდი, ფასი, წონა, დამატებითი ზომის ერთეული, გამგზავნი/მიმღები ქვეყნის კოდი; - ძირითადი საქონლის მიხედვით ზღვრული ფასის კონტროლს და შესაბამისად, რაოდენობის, ღირებულების ან დამატებითი ზომის ერთეულის კორექტირებას; - იმ საქონლის ამოღებას შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზიდან, რომელიც არ განეკუთვნება საქონლით საგარეო ვაჭრობას (მიმოქცევაში მყოფი ფასიანი ქაღალდები, ბანკნოტები და მონეტები; დროებით შემოტანილი და გატანილი საქონელი; დიპლომატიური და სხვა სახის ტვირთები, რომლებიც საერთაშორისო მეთოდოლოგიის თანახმად, არ შედის საქონლით საგარეო ვაჭრობაში). ინფორმაცია არ მოიცავს გამარტივებული საბაჟო დეკლარაციების (ფორმა №4) მონაცემებს და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიებს. საქონლის ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვისათვის გამოიყენება “საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა“ (სეს სნ HS2012-HS2017, კომბინირებული), რომელიც აგებულია საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის ბაზაზე.

საბაჟო დეპარტამენტთან თავდაპირველი ხელშეკრულება თანამშრომლობისა და ინფორმაციის მიწოდების შესახებ გაფორმდა 1994 წელს. მანამდე ექსპორტ-იმპორტის შესახებ მონაცემების მიღება ხდებოდა სტატისტიკური გამოკვლევის საშუალებით უშუალოდ მსხვილი ფირმებიდან, რომლებიც ახორციელებდნენ საგარეო სავაჭრო ოპერაციებს.

ექსპორტი აღრიცხულია FOB, ანუ ექსპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებში (მოიცავს ექსპორტიორი ქვეყნის საზღვრამდე ტვირთის ტრანსპორტირებისა და სატრანსპორტო საშუალების ბორტზე დატვირთვის ხარჯებს), ხოლო იმპორტი - CIF, ანუ იმპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებში (გარდა FOB ფასისა, მოიცავს საერთაშორისო ფრახტს და დაზღვევის ხარჯებს).

ექსპორტისა და იმპორტის ფასების აღნიშნული სტრუქტურა მარტივად შეიძლება გამოვსახოთ შემდეგი სქემის სახით:

საქონლის ღირებულება	<b>CIF</b>	<b>FOB</b>
ექსპორტიორი ქვეყნის საზღვრამდე ტრანსპორტირების ხარჯი		
ბორტზე საქონლის დატვირთვის ხარჯი		
საერთაშორისო ფრახტი		
დაზღვევა		

ღირებულებითი მაჩვენებლები მოცემულია აშშ დოლარებში. სტატისტიკური ღირებულების გაანგარიშება აშშ დოლარებში ხორციელდება შესაბამისი ორგანოების მიერ სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების გაფორმების მომენტში თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური მონაცემების დინამიკური მწკრივები ხელმისაწვდომია 1995 წლიდან. ინფორმაცია დეტალიზებულია ქვეყნების, საქონლის და ტრანსპორტირების სახეობების ჭრილში. 2018 წლის ოქტომბრიდან საგარეო ვაჭრობის მონაცემების გავრცელება დაიწყო ეკონომიკური საქმიანობის სახეების (NACE Rev.2) და მოვაჭრე სუბიექტების ზომის მიხედვით. მონაცემები მუშავდება და ქვეყნდება ყოველთვიური პერიოდულობით. 2012 წლიდან საქსტატი ახორციელებს ექსპრეს ინფორმაციის გავრცელებას საანგარიშო თვის დასრულებიდან მე-13 დღეს, რომელიც მოიცავს ექსპორტის, იმპორტის, საგარეო სავაჭრო ბრუნვისა და სავაჭრო ბალანსის აგრეგირებულ მონაცემებს. რაც შეეხება დეტალურ ინფორმაციას სხვადასხვა ჭრილში, 2016 წლიდან ქვეყნდება საანგარიშო თვის დასრულებიდან მე-19 დღეს.

## 1.5. საგარეო ვაჭრობის მონაცემთა ხარისხზე მოქმედი ფაქტორები

საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების პრობლემატიკის განხილვისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოება, რომ სტატისტიკური მონაცემები გარკვეული ცდომილებით ხასიათდებიან.

ხშირად რეგისტრირებული საქონლის ექსპორტ-იმპორტის მოცულობა არ შეესაბამება მთლიანი სავაჭრო ნაკადების სიდიდეს. მაჩვენებლები მეტნაკლებად მიახლოებითია, რადგან ექსპორტისა და იმპორტის გარკვეული ნაწილი სხვადასხვა მიზეზით აღურიცხავი რჩება.

სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებიდან მის გავრცელებამდე პერიოდში ბევრ პრობლემატურ საკითხს აქვს ადგილი. მაგალითად: მიუხედავად იმისა, რომ დეკლარაციის სტრუქტურა ითვალისწინებს წარმოშობის ქვეყნის ველის დაფიქსირებას, საქართველოს საბაჟო სამსახურების მიერ არ ხდება ამ ველის სრულყოფილად შევსება, რაც შეუძლებელს ხდის საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოებას საქონლის წარმოშობის ქვეყნის მიხედვით, შესაბამისად იმპორტთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები გვაქვს მხოლოდ გამომგზავნი ქვეყნის მიხედვით. ასევე, როგორც უკვე აღვნიშნეთ ექსპორტის და იმპორტის აღრიცხვა ხდება FOB და CIF ფასებში. მოცემული კონკრეტული ქვეყნიდან დანარჩენი ქვეყნების ტერიტორიული განლაგების სხვადასხვა მანძილი თავისთავად გულისხმობს საქონლის გადაადგილებისათვის სატრანსპორტო და დაზღვევის ხარჯების ღირებულების განსხვავებულ სიდიდეს. ამიტომ, ამ ხარჯების შეფასება უნდა მოხდეს მინიმუმ ცალკეული ქვეყნების მიხედვით, რისი პრაქტიკაც ჯერჯერობით საქართველოში არ გვაქვს.

ერთი ქვეყნის იმპორტის და მეორე ქვეყნის შესაბამისი ექსპორტის მონაცემები ერთ პერიოდში ერთმანეთისგან უმეტეს შემთხვევაში განსხვავდება და ამის ბევრი სხვა მიზეზი არსებობს:

- განსხვავება CIF (იმპორტის შემთხვევაში) და FOB (ექსპორტის შემთხვევაში) ფასებს შორის. ზოგადი მეთოდოლოგიის თანახმად, აღნიშნული განსხვავება მერყეობს 10-12 პროცენტის ფარგლებში, რომელიც მოიცავს ტვირთის ტრანსპორტირებისა და დაზღვევის ხარჯებს.

აღნიშნული მაჩვენებლის სიდიდე, ბუნებრივია, განსხვავებული იქნება ცალკეული ქვეყნების მიხედვით;

- პარტნიორი ქვეყნების მიერ ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვის დროს შორის განსხვავება;
- პარტნიორი ქვეყნის აღრიცხვაში სხვადასხვა მიდგომის გამოყენება. როგორც წესი, ექსპორტის დროს, სავაჭრო პარტნიორის როლში გამოდის დანიშნულების ქვეყანა, იმპორტის დროს – მოვაჭრე ან წარმოშობის ქვეყანა. საქართველოში ორივე შემთხვევაში პარტნიორად მოიაზრება საქონლის იმპორტის შემთხვევაში - საქონლის მომწოდებელი და ექსპორტის შემთხვევაში საბოლოო დანიშნულების ქვეყანა;
- განსხვავებული კლასიფიკაციების გამოყენება;
- განსხვავებული სტატისტიკური აღრიცხვის სისტემების გამოყენება;
- ქვეყნის ტერიტორიის არასრული აღრიცხვა, როცა ერთმანეთთან მოვაჭრე ქვეყნებს გააჩნიათ არაკონტროლირებადი ტერიტორიები;
- ექსპორტისა და იმპორტის აღრიცხვის „ზოგადი“ და „სპეციალური“ სისტემების გამოყენება;
- არაორგანიზებული ვაჭრობა, როცა საბაჟოზე ტვირთის გაფორმების ზღვარი სხვა და სხვა ქვეყნის შემთხვევაში განსხვავებულია;
- საქონლის დეკლარირების დროს დაშვეული შეცდომები.

## თავი 2. საქართველოს საგარეო სავაჭრო ურთიერთობების საერთაშორისო ინტეგრაცია და წინ გადადგმული ნაბიჯები

### 2.1. საქართველოს ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში

თანამედროვე პირობებში ქვეყნები აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმებებში. ისინი ამით იუმჯობესებენ ეკონომიკურ კეთილდღეობას და ხელს უწყობენ ქვეყნის ინტეგრაციას დანარჩენ მსოფლიოსთან.

საქართველო მცირე ქვეყანაა. ასეთ ქვეყნებს ეკონომიკური ინტეგრაცია შესაძლებლობას აძლევს, შეზღუდული რესურსების პირობებში ეროვნული ეკონომიკა ოპტიმალურად განივითაროს და ამავე დროს, მეტად იყოს დაზღვეული მსოფლიო ბაზრის გლობალური კონიუნქტურული რყევებით გამოწვეული ზარალისაგან.

მეოცე საუკუნის ბოლო წლებში საქართველოს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად ესახებოდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ( World Trade Organization) გაწევრიანება.

WTO შეიქმნა 1995 წელს, რომელიც გლობალური სავაჭრო სისტემის კანონებს აწესებს და აგვარებს უთანხმოებებს მის წევრ ქვეყნებს შორის.

1999 წლის 6 ოქტომბერს საქართველომ ოფიციალურად მოაწერა ხელი WTO-ში გაწევრიანებას. სამწლიანი მოლაპარაკების შემდეგ, საქართველო კავკასიის სახელმწიფოთაგან პირველი და ყოფილი კავშირის ქვეყნებიდან მე-4 გახდა WTO-ს სრულუფლებიანი 136-ე წევრი, სადაც მან გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნის სტატუსით შეაბიჯა.

1992 წლის 25 ივნისიდან საქართველო შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) ერთ-ერთი დამფუძნებელი ქვეყანა და შესაბამისად ამ ორგანიზაციის ფარგლებში ყველა ძირითადი პროცესის მონაწილეა. BSEC-ის მთავარ მიზნებს წარმოადგენს რეგიონის ეკონომიკური განვითარება და სტაბილურობა, წევრი ქვეყნების ხალხის კეთილდღეობა და შავი ზღვის სივრცეში დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობა.

1994 წლის 30 ივნისს ქ. თბილისში ჩატარებული შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის (BSEC) მონაწილე ქვეყნების (ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბულგარეთი, საქართველო, საბერძნეთი, მოლდოვა, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, თურქეთი და უკრაინა) საგარეო საქმეთა მინისტრების მე-4 შეხვედრაზე, ხელი მოეწერა BSEC-ის ძირითადი მამოძრავებელი სტრუქტურის - შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის (BSTDB) დამფუძნებელ შეთანხმებას.

შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის (BSTDB) შტაბ-ბინა მდებარეობს საბერძნეთის რესპუბლიკაში, ქ. თესალონიკში. ბანკის ჩამოყალიბებას თავიდანვე დიდი ყურადღება ეთმობოდა, რადგან მის ძირითად მიზანს წარმოადგენდა წევრ ქვეყნებში გარდამავალი პროცესების ხელშეწყობა, რეგიონული პროექტებისა და პროგრამების დაფინანსება, მონაწილე სახელმწიფოებს შორის ვაჭრობის გაფართოება და საბოლოო ჯამში შავი ზღვის რეგიონის ეკონომიკური განვითარების დაჩქარება.

საქართველო არის სუამ-ის წევრი ქვეყანაც, რომელიც შეიქმნა 1997 წლის ოქტომბერში და წარმოადგენს სახელმწიფოთაშორის ორგანიზაციას. წევრი ქვეყნები საქართველოსთან ერთად ასევე არიან უკრაინა აზერბაიჯანი და მოლდოვა. თანამშრომლობის ფარგლებში შექმნილია რვა სამუშაო ჯგუფი, რომელთაგან ერთ-ერთს წარმოადგენს წევრ ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

## 2.2. საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა

ევროკავშირმა საქართველოს დამოუკიდებლობა 1992 წელს აღიარა. სწორედ მას შემდეგ დაიწყო ევროგაერთიანებასთან კავშირების დამყარება, რომელიც დღემდე გრძელდება.

1996 წლის 22 აპრილს, ლუქსემბურგში, ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას (PCA). აღნიშნული შეთანხმებით, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობის შემდგომი განვითარების სამართლებრივი ჩარჩო განისაზღვრა. ხელშეკრულებას ხელი, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, ევროკომისიისა და საქართველოს პრეზიდენტებმა მოაწერეს. ხელშეკრულება ძალაში 1999 წელს შევიდა.

1997 წლის 1 სექტემბრიდან, საქართველოს პარლამენტის დადგენილების საფუძველზე, საქართველომ დაიწყო საკუთარი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

2005 წელს, საქართველოს მდგრადი განვითარებისა და ეფექტიანი მმართველობის წახალისებისათვის მიენიჭა ევროკავშირის პრეფერენციების განახლებული გენერალიზებული სისტემის (GSP+ სავაჭრო რეჟიმი) შეღავათები.

2008 წლის 3 დეკემბერს, გამოქვეყნდა ევროკომისიის კომუნიკე "აღმოსავლეთ პარტნიორობის" შესახებ. "აღმოსავლეთ პარტნიორობა" (Eastern Partnership) ევროკავშირის აღმოსავლეთით მდებარე მეზობელ ქვეყნებთან (უკრაინა, მოლდოვა, საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელარუსი) ურთიერთთანამშრომლობის თვისობრივად ახალ მექანიზმს წარმოადგენს.

2009 წლის 7 მაისს, ქ. პრაღაში, "აღმოსავლეთ პარტნიორობის" პირველი სამიტი გაიმართა.

2010 წლის 10 მაისს, ბრიუსელში, ზოგად საკითხთა საბჭომ (General Affairs Council) დაამტკიცა, ევროკომისიის მიერ წარდგენილი მანდატი ასოცირების შეთანხმების თაობაზე საქართველოსთან მოლაპარაკებების დაწყებასთან დაკავშირებით.

2010 წლის 15 ივლისს, დაიწყო ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებები (რომელიც მოიცავს "ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას" (DCFTA)).

2011 წლის 29-30 სექტემბერს, ქ. ვარშავაში გაიმართა "აღმოსავლეთ პარტნიორობის" მეორე სამიტი.

2012 წლის 28 თებერვალს, ოფიციალურად გაიხსნა მოლაპარაკებები, საქართველოსა და ევროკავშირს შორის „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების"(DCFTA) დადების თაობაზე.

2013 წლის 28-29 ნოემბერს, ქ. ვილნიუსში „აღმოსავლეთ პარტნიორობის" რიგით მესამე სამიტი გაიმართა, რომლის ფარგლებში, ასოცირების შეთანხმებისა და მისი კომპონენტის, ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების პარაფირება მოხდა და ასევე, საქართველოს ევროკავშირის კრიზისების მართვის ოპერაციებში ჩართვის შესახებ შეთანხმება გაფორმდა.

2014 წლის 26 ივნისს, ევროკავშირმა და საქართველომ დაამტკიცეს ასოცირების დღის წესრიგი, რომელიც ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე 2014-2016 წლებში რეფორმების პრიორიტეტულ მიმართულებებს განსაზღვრავს. ასოცირების დღის წესრიგმა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა (ENP AP) ჩაანაცვლა.

2014 წლის 27 ივნისს, ქ. ბრიუსელში, ხელი მოეწერა „ერთის მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ" შეთანხმებას.

2014 წლის 18 ივლისს, საქართველოს პარლამენტმა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების რატიფიცირებას მხარი ერთხმად დაუჭირა.

2014 წლის 29 ივლისს, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის (29-ე) სხდომაზე, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2014 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა და ასევე, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტის განხორციელების 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმა დამტკიცდა.

2015 წლის დეკემბერში, დასრულდა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების რატიფიცირების პროცესი.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის N 186 განკარგულებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაევალი ასოცირების შესახებ შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) ნაწილის განხორციელების საერთო კოორდინაცია და მონიტორინგი.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების, მათ შორის, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კოორდინაცია ხორციელდება ორ დონეზე: ადგილობრივ დონეზე კოორდინაცია გულისხმობს კოორდინაციას საქართველოს სახელმწიფო უწყებებს შორის, მაკრო დონეზე კოორდინაცია გულისხმობს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს კოორდინაციას.

DCFTA-ს მოლაპარაკებისთვის მზადება დაიწყო 2009 წელს. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მისაღებად მოლაპარაკების დაწყებისთვის მომზადების პროცესს საფუძველი ჩაუყარა 2008 წლის 13-14 ოქტომბერს ევროკომისიის ფაქტების შემსწავლელი მისიის (Commission services' fact-finding trade mission) ვიზიტმა თბილისში.

ვიზიტის შემდეგ, 2009 წლის მარტში, ევროკომისიამ საქართველოს მთავრობას წარუდგინა რეკომენდაციები სხვადასხვა სფეროში განსახორციელებელი რეფორმების შესახებ (EU Commission's Recommendations Regarding Georgia's Preparedness for the DCFTA Negotiations).

რეკომენდაციების მიხედვით, მოლაპარაკების დასაწყებად ევროკომისიამ გამოყო ოთხი პრიორიტეტული სფერო: ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ღონისძიებები (სურსათის უვნებლობა), ინტელექტუალური საკუთრების უფლებები და კონკურენცია.

ევროკომისიის მოთხოვნის თანახმად, რეკომენდებულ სფეროებში (ინტელექტუალური საკუთრების უფლების გარდა) საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ყოვლისმომცველი სტრატეგიები:

- სურსათის უვნებლობის სტრატეგია და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამა;

- სტრატეგია სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სფეროში და შესაბამისი პროგრამა;
- კონკურენციის პოლიტიკის სტრატეგია;

ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვის კუთხით UNDP-ის ხელშეწყობით ჩატარდა საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების უფლების ხელყოფისა და პირატული მდგომარეობის კვლევა. მოლაპარაკებების დაწყებამდე საქართველოს მთავრობამ ასევე შეიმუშავა სამრეწველო პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობის სტრატეგია.

DCFTA-ს გასაფორმებლად მოლაპარაკების პროცესი ოფიციალურად 2011 წლის დეკემბერში დაიწყო. მოლაპარაკებები დასრულდა 2013 წლის ივლისში. სულ გაიმართა მოლაპარაკების ექვსი რაუნდი.

ასოცირების შეთანხმების პარაფირება (მხარეთა დელეგაციების ხელმძღვანელების მიერ შეთანხმების თითოეულ გვერდზე ინიციალების დასმით მოლაპარაკებული ტექსტის დადასტურება) მოხდა 2013 წლის 28-29 ნოემბერს, "აღმოსავლეთ პარტნიორობის" ვილნიუსის სამიტის ფარგლებში.

2014 წლის 1 სექტემბრიდან დაიწყო შეთანხმების ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებების, მათ შორის, DCFTA-ს ამოქმედება. ამასთან, ასოცირების შესახებ შეთანხმების დანარჩენი ნაწილი ევროკავშირის მხრიდან ამოქმედდა 2016 წლის 1 ივლისიდან.

ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო სივრცის გავლენა საქართველოს ძირითად მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე შეფასებულია ევროკომისიის ინიციატივით 2012 წლის ოქტომბრის ანგარიშში, სახელწოდებით - „მდგრადი სავაჭრო ურთიერთობების გავლენის შეფასება (TSIA) ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში მიმდინარე მოლაპარაკებების მხარდასაჭერად“. დოკუმენტში მოცემულია თავისუფალი ვაჭრობის გავლენის შესახებ დასკვნები: ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე საქართველოში.

ანგარიშში ხაზგასმულია, რომ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების მთავარი სოციალური ეფექტი დასაქმების და ხელფასების ზრდაა და რომ ზოგადად, ნებისმიერი ტიპის ვაჭრობის ლიბერალიზაციას აქვს ეკონომიკური რესურსების გადანაწილების ეფექტი. კერძოდ, ხდება შრომის და კაპიტალის გადაადინება ნაკლებად პროდუქტიულიდან უფრო პროდუქტიულ სექტორებში. თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების მოსალოდნელი შედეგები მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული საქართველოში აღნიშნული პროცესების დროულ და ეფექტურ განვითარებაზე.

კვლევის თანახმად, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების შედეგად, გრძელვადიან პერიოდში, მოსალოდნელი იყო ეროვნული შემოსავალის 292 მილიონი ევროთი ზრდა (მთლიანი შიდა პროდუქტის 4.3%-ით ზრდა); ექსპორტის 12.4%-ით, ხოლო იმპორტის 7.5%-ით მატება; ხელფასების 3.6%-იანი ზრდა და სამომხმარებლო ფასების 0.6%-იანი შემცირება.

რაც შეეხება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გავლენას გარემოზე, კვლევის თანახმად ეს მაჩვენებელი უმნიშვნელო იყო. კერძოდ, ივარაუდეს გრძელვადიან პერიოდში გარემოს დამაზინებელი ობიექტებიდან გაფრქვევების გაზრდა დაახლოებით 3.1%-ით.

2014 წლის 1 სექტემბრიდან შეთანხმების ძალაში შესვლისთანავე ევროკავშირში წარმოშობილი საქონლის საქართველოში იმპორტზე საბაჟო გადასახადი გაუქმდა.

შესაბამისი შეთანხმების იმპლემენტაციის მიზნით, ექსპორტიორი მხარის ტერიტორიაზე წარმოებულად ჩაითვლება:

- პროდუქცია, რომელიც მთლიანად წარმოშობილია ექსპორტიორი მხარის ტერიტორიაზე.
- ექსპორტიორი მხარის ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქცია ისეთი მასალებით, რომელიც არ არის მთლიანად წარმოშობილი ამ ტერიტორიაზე, იმ პირობით, რომ ამგვარმა მასალებმა განიცადეს საკმარისი დამუშავება-გადამუშავება ექსპორტიორი მხარის ტერიტორიაზე.
- საქონელი, რომელიც წარმოშობილია ევროპის ეკონომიკურ სივრცეში (EEA) ევროპის ეკონომიკური სივრცის შესახებ შეთანხმების მე-4 ოქმის მნიშვნელობის ფარგლებში. ამგვარი საქონელი ჩაითვლება ევროკავშირში, ისლანდიაში,

ლიხტენშტეინში ან ნორვეგიაში („ევროპის ეკონომიკური სივრცის (EEA) მხარეები“) წარმოშობილად, მათი ექსპორტირებისას შესაბამისად ევროკავშირიდან, ისლანდიიდან, ლიხტენშტეინიდან ან ნორვეგიიდან.

მიუხედავად ასოცირების ხელშეკრულებისა 2014 წლიდან ევროკავშირიდან იმპორტი გამოხატული ღირებულებით მაჩვენებლებში, არათუ საგრძობლად გაიზარდა, არამედ ზოგიერთ წელს კლებასაც ჰქონდა ადგილი.

### თავი 3. ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში საქონლის იმპორტის სტატისტიკური ანალიზი


#### 3.1. საქართველოს საქონლით საგარეო ვაჭრობა 2000-2018 წლებში

2000-დან 2018 წლამდე საქართველოში საქონლის იმპორტის მოცულობა 709,5 მლნ. აშშ დოლარიდან 9 122,1 მლნ. აშშ დოლარამდე, ხოლო ექსპორტი 323,9 მლნ. აშშ დოლარიდან 3,354.5 მლნ. აშშ დოლარამდე გაზარდა. აღნიშნულმა მაჩვენებლებმა შესაბამისი გაავლენა იქონიეს საგარეო სავაჭრო ბალანსზე და სალდოზე.

2000-2018 წლებში საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ჩამოყალიბებულ ზოგად ტენდენციებს ასახავს დიაგრამა N 3.1.

დიაგრამა N 3.1.

საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2000-2018 წლებში



\*წინასწარი მონაცემები

დიაგრამა N 3.1.-ის მიხედვით ჩანს, რომ საგარეო ვაჭრობის ყველა ინდიკატორი 2003 წლის შემდეგ მკვეთრად მატულობს.

2003 წლის ნოემბრის შემდგომი პერიოდიდან და ინსტიტუციური ცვლილებების შედეგად საქართველოს სავაჭრო საზღვრები კიდევ უფრო გაიხსნა: გამარტივდა ექსპორტ-იმპორტის პროცედურები, შემცირდა გადასახადის განაკვეთი და სახეები, გამარტივდა სატარიფო და არასატარიფო რეგულირება, განხორციელდა სავაჭრო ურთიერთობების დივერსიფიცირება თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებების დადებით რეგიონულ და მთავარ სავაჭრო პარტნიორებთან, გაუმჯობესდა საინვესტიციო გარემო, შემცირდა თავისუფალი კონკურენციის ბარიერები საბაჟოს, ლიცენზირების და ნებართვების, საკუთრების რეგისტრაციის გამარტივებით.

რაც შეეხება საქონლის იმპორტს და მის წილს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მოცემულია დიაგრამა N 3.2-ზე, ხოლო ევროკავშირის ქვეყნებიდან საქონლის იმპორტის წილი მთლიან იმპორტსა და საგარეო სავაჭრო ბრუნვაში კი დიაგრამა N 3.3-ზე.

### დიაგრამა N 3.2.

#### საქონლის იმპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში




\*წინასწარი მონაცემები

დიაგრამა N 3.2.-ის მიხედვით ჩანს, რომ იმპორტის პროცენტული წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 2000-2008 წლების შუალედში ზრდადი ტენდენციით ხასიათდება და 68%-დან 80%-მდე იზრდება. 2008 წლის შემდეგ საგარეო სავაჭრო ბრუნვაში იმპორტის წილი იკლებს და 2018 წლისთვის იგი დაახლოებით 73 %-ს შეადგენს.

დიაგრამა N 3.3.-ის მიხედვით ჩანს, რომ ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებული საქონლის იმპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში და მთლიან იმპორტში იზრდება 2003 წლამდე. 2003 წლის შემდეგ კი შემცირების სტადია იწყება.

**დიაგრამა N 3.3.**


**ევროკავშირის ქვეყნებიდან საქონლის იმპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში და მთლიან იმპორტში**



დიაგრამა N 3.4. გვიჩვენებს საქონლის რეიმპორტის წილს მთლიან იმპორტში.

#### დიაგრამა N 3.4.

#### რეიმპორტის წილი იმპორტში



როგორც დიაგრამა N 3.4.-დან ჩანს, 2006 წელს იმპორტთან მიმართებაში რეიმპორტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა. აღნიშნული გამოწვეული იყო ემბარგოთი, რომელიც რუსეთმა 2006 წელს გამოუცხადა საქართველოს და უარი თქვა ქართული წარმოშობის მინერალური წყლების და ღვინის იმპორტზე თავის ქვეყანაში. რუსეთში ექსპორტირებული ქართული ნაწარმის დაბრუნება აისახა როგორც რუსეთიდან იმპორტი და საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში აისახა რეიმპორტის რეჟიმით.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ შემთხვევაში სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელებისას, სტატისტიკური სამსახურების მიერ აუცილებლად უნდა გაკეთდეს კომენტარი, რათა მომხმარებელი ინფორმირებული იყოს მსგავსი ფაქტის შესახებ, რომ არ მოხდეს მათი მხრიდან მონაცემების არასწორი ინტერპრეტაცია და მცდარი დასკვნების გაკეთება.

2006 წელს რუსეთიდან უკან დაბრუნებული საქონლის შესახებ სტატისტიკური მონაცემები მოცემულია ცხრილ N 3.1.-ში:

### ცხრილი N 3.1.

#### რეიმპორტი რუსეთიდან 2006 წელს.

საქონლის კოდი	საქონლის დასახელება	ათასი აშშ დოლარი
2204	ყურძნის ნატურალური ღვინოები	6001.0
2201	მინერალური და მტკნარი წყლები	821.7
2208	ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც. %-ზე ნაკლები, სპირტიანი სასმელები	786.9
902	ჩაი, არომატიზებული ან არაარომატიზებული	53.9
910	კოჭა, ზაფრანა, ურცი, დაფნის ფოთოლი, კარი და სხვა სანელებლები	26.2
2206	სასმელები დადუღებული სხვა	19.3
2202	წყლები, მინერალურისა და დაგაზიანებულის ჩათვლით, შაქრის დანამატების შემცველობით	15.6

### 3.2. საქართველოს საქონლის იმპორტის სტატისტიკური ანალიზი 2000-2018 წლებში

საქართველოში ევროკავშირიდან საქონლის იმპორტის შესახებ სტატისტიკური ანალიზის დაწყებამდე განვიხილოთ საქართველოს მთლიანი იმპორტი დანარჩენი მსოფლიოდან. ეს შედარებით გაგვიოლებს ევროგაერთიანების და დანარჩენი მსოფლიოს მონაცემებს შორის შესადარისობის უზრუნველყოფას და საშუალებას მოგვცემს გამოვიტანოთ გარკვეული დასკვნები.

## ცხრილი N 3.2.

### იმპორტი 2000-2018 წლებში

მლნ. აშშ დოლარი

2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009
709.5	752.0	794.7	1 139.0	1 844.3	2 487.5	3 674.8	5 212.2	6 301.5	4 475.7
2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018*	
5 236.0	7 072.3	8 056.4	8 022.5	8 601.8	7 300.3	7 293.8	7 942.7	9 122.1	

\*წინასწარი მონაცემები

მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ 2000-2018 წლების პერიოდში საქართველოს იმპორტი ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. 2000 წელთან შედარებით 2018 წელს იმპორტის მოცულობა თითქმის 13-ჯერ გაიზარდა. მხოლოდ 2009, 2013 და 2015-2016 წლებში მოხდა საქონლის იმპორტის წინა წელთან შედარებით შემცირება. ყველაზე დიდი კლება წინა წელთან შედარებით შეინიშნებოდა 2015 წელს. სასაქონლო პერიოდის მიხედვით ამ წელიწადს მოხდა ნავთობის და ნავთობპროდუქტების და მსუბუქი ავტომობილების შედარებით ნაკლები იმპორტი საქართველოში.

იმპორტის მოცულობის ზრდაზე გავლენას ახდენს უამრავი ფაქტორი, დაწყებული საერთაშორისო ვაჭრობის სტიმულირების კუთხით ქვეყნის მიერ გადადგმული ნაბიჯებით და დამთავრებული ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური მდგომარეობით.

იმპორტის მონაცემების სტატისტიკურ ანალიზს დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგადად ქვეყნის სავაჭრო პოტენციალის შეფასების და სხვა და სხვა პროდუქტთან მიმართებაში ბაზარზე მოთხოვნა - მიწოდების ტენდენციის დადგენაში.

ქვეყანაში იმპორტს შეიძლება ითქვას, რომ აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეებიც. ზოგადად საერთაშორისო ვაჭრობაში ქვეყნების მონაწილეობა განპირობებულია ორი ძირითადი მიზეზით:

- ქვეყნები განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ამ განსხვავების საფუძველზე მათ შეუძლიათ მიიღონ სარგებელი, თუკი აწარმოებენ იმას, რაც ყველაზე უკეთ გამოსდით;

- თუ ცალკეული ქვეყანა აწარმოებს მხოლოდ განსაზღვრული ასორტიმენტის პროდუქციას, მაშინ ის შეძლებს დაამზადოს თითოეული სახის საქონელი დიდი რაოდენობით და უფრო ეფექტიანად, ვიდრე ყველა პროდუქტის საკუთარი ძალებით წარმოების შემთხვევაში.

ამ მსჯელობის კვალდაკვალ მივდივართ შეფარდებითი უპირატესობის განმარტებასთან, რომლის მიხედვითაც ქვეყანა ფლობს შეფარდებით უპირატესობას კონკრეტული საქონლის წარმოებაში, თუ მოცემული საქონლის წარმოების ალტერნატიული დანახარჯი, რომელიც გამოხატულია სხვა საქონლით, ამ ქვეყანაში უფრო დაბალია, ვიდრე სხვა ქვეყანაში.

ქვეყნის იმპორტის ზრდაზე ან შემცირებაზე პირველ რიგში შეიძლება ითქვას, რომ სწორედ კონკრეტულ საქონელთან მიმართებაში შეფარდებითი უპირატესობის ქონა არქონის საკითხი ახდენს გავლენას. თუ ქვეყანას შედარებით მაღალი დანახარჯების გაწევა უწევს ამა თუ იმ პროდუქციის შესაქმნელად, მას შეუძლია საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულობის გზით მოახდინოს ამ საქონლის იმპორტი ქვეყანაში და დააკმაყოფილოს ეროვნულ ბაზარზე გაჩენილი მოთხოვნა. ეს არის იმპორტის ერთ-ერთი დადებითი მხარე.

რაც შეეხება უარყოფით თვისებებს, მის დასახასიათებლად შეგვიძლია მაგალითად მოვიყვანოთ პოლიტიკა გადამამუშავებელი მრეწველობის ნაწარმის იმპორტის შეზღუდვის შესახებ, რომელსაც მრავალი განვითარებადი ქვეყანა მიმართავს ეროვნული მრეწველობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. ქვეყანაში იმპორტის ნაკადის შემცირების მიზნაშეწონილობის თეორიული დასაბუთებისთვის ყველაზე მეტად „ახალგაზრდა დარგების დაცვის არგუმენტი“ გამოდგება.

ახალგაზრდა დარგების დაცვის არგუმენტის თანახმად, თუ განვითარებად ქვეყნებს აქვთ პოტენციური შეფარდებით უპირატესობა გადამამუშავებელ მრეწველობაში, მაგრამ მათ ახალ დარგებს არ შეუძლიათ კონკურენცია გაუწიონ განვითარებული ქვეყნების კარგად განვითარებულ გადამამუშავებელ მრეწველობას, სახელმწიფომ მხარი უნდა დაუჭიროს ეროვნული მრეწველობის ახალი დარგების განვითარებას. ეს არგუმენტი საჭიროებს ინდუსტრიალიზაციის დროებით ღონისძიებების - ტარიფების, საიმპორტო კვოტების და სხვა დამცავი ზომების

გამოყენებას. ისტორიული ფაქტია, რომ მსოფლიოს სამი უდიდესი ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის განვითარება დაიწყო მრეწველობის განვითარებით: აშშ-მ და გერმანიამ მე-19 საუკუნეში მაღალი ტარიფები გამოიყენა გადამამუშავებელ მრეწველობაში, იაპონია კი ამ კუთხით იმპორტის კონტროლს 1970-იან წლებამდე ახორციელებდა.

ზემოთ მოცემული მონაცემების საფუძველზე გავიანგარიშოთ დინამიკური მწკრივის სხვა და სხვა მაჩვენებლები:

➤ **საშუალო დონე:**

$$y = \frac{\sum Y}{n} = \frac{y_1 + y_2 + y_3 + y_4 + y_5 + \dots + y_{17} + y_{18} + y_{19}}{19} = 5\,054.7$$

სადაც :

$\sum Y$  - არის მწკრივის დონეთა ჯამი;

n- მწკრივის დონეთა რიცხვი.

➤ **აბსოლუტური მატება:**

აბსოლუტური მატება ახასიათებს შესასწავლი მოვლენის ზრდის ან შემცირების აბსოლუტურ ზომას.

ჯაჭვური მეთოდით:  $\Delta y = y_i - y_{i-1}$

სადაც:

$y_i$  - არის მწკრივის მიმდინარე დონე;

$y_{i-1}$  - დონე, რომელიც წინ უსწრებს მიმდინარე დონეს.

$$\Delta_{2001} = y_2 - y_1 = 42.5$$

$$\Delta_{2002} = y_3 - y_2 = 42.7$$

$$\Delta_{2003} = y_4 - y_3 = 344.4$$

$$\Delta_{2004} = y_5 - y_4 = 705.3$$

$$\Delta_{2005} = y_6 - y_5 = 643.2$$

$$\Delta_{2006} = y_7 - y_6 = 1\,187.3$$

$$\Delta_{2007} = y_8 - y_7 = 1\,537.3$$

$$\Delta_{2008} = y_9 - y_8 = 1\,089.4$$

$$\Delta_{2009} = y_{10} - y_9 = -1\,825.8$$

$$\Delta_{2010} = y_{11} - y_{10} = 760.2$$

$$\Delta_{2011} = y_{12} - y_{11} = 1\,836.3$$

$$\Delta_{2012} = y_{13} - y_{12} = 984.1$$

$$\Delta_{2013} = y_{14} - y_{13} = -33.8$$

$$\Delta_{2014} = y_{15} - y_{14} = 579.3$$

$$\Delta_{2015} = y_{16} - y_{15} = -1\,301.5$$

$$\Delta_{2016} = y_{17} - y_{16} = -6.5$$

$$\Delta_{2017} = y_{18} - y_{17} = 648.9$$

$$\Delta_{2018} = y_{19} - y_{18} = 1\,179.4$$

როგორც ვხედავთ, ჯაჭვური მეთოდით გაანგარიშებისას გვაქვს ზოგიერთ წელს კლება. მაგალითად 2009, 2013 და 2015-2016 წლებში წინა წლებთან შედარებით იმპორტი აბსოლუტური სიდიდით შემცირდა. რაც შეეხება 2009 წელს, მოცემულ წელს დაფიქსირდა კლების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, რისი გამომწვევ მიზეზებია მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და 2008 წლის აგვისტოს ომი.

➤ საშუალო აბსოლუტური მატება :

$$\bar{\Delta y} = \frac{\sum \Delta y}{n}$$

სადაც:

$\bar{\Delta y}$  - არის საშუალო აბსოლუტური მატება;

n - მწკრივის დონეთა რიცხვი.

ჯაჭვური მეთოდით გაანგარიშებული საშუალო აბსოლუტური მატება არის:  
 $\bar{\Delta}=442.8$ .

ეს მაჩვენებელი გულისხმობს, რომ 2000-2018 წლებში საშუალოდ ყოველწლიურად იმპორტი 442.8 მლნ. აშშ დოლარით იზრდებოდა.

➤ **ზრდის ტემპი:**

ზრდის ტემპი არის მწკრივის მოცემული დონის შეფარდება წინა დონესთან გამოსახული პროცენტებში. ის გვიჩვენებს რამდენი პროცენტით გაიზარდა მოვლენის (მწკრივის) დონე წინა პერიოდთან შედარებით. თუ ზრდას გამოვსახავთ კოეფიციენტით, მაშინ მივიღებთ ზრდის კოეფიციენტს, რომელიც გვიჩვენებს რამდენჯერ გაიზარდა დონე.

ზრდის ტემპი გაიანგარიშება ჯაჭვური და საბაზისო ხერხით. ჩვენს შემთხვევაში, იმპორტის მონაცემების ზრდის ტემპს გავიანგარიშებთ ჯაჭვური მეთოდით:

$$K_i = \frac{y_i}{y_{i-1}} * 100, \text{ რაც იგივეა:}$$

$$\frac{y_2}{y_1}; \frac{y_3}{y_2}; \frac{y_4}{y_3} \text{ და ა. შ.}$$

$$K_{2001} = \frac{y_2}{y_1} * 100 = 106.0 \%$$

$$K_{2002} = \frac{y_3}{y_2} * 100 = 105.7 \%$$

$$K_{2003} = \frac{y_4}{y_3} * 100 = 143.3 \%$$

$$K_{2004} = \frac{y_5}{y_4} * 100 = 161.9 \%$$

$$K_{2005} = \frac{y_6}{y_5} * 100 = 134.9 \%$$

$$K_{2006} = \frac{y_7}{y_6} * 100 = 147.7 \%$$

$$K_{2007} = \frac{y_8}{y_7} * 100 = 141.8 \%$$

$$K_{2008} = \frac{y_9}{y_8} * 100 = 120.9 \%$$

$$K_{2009} = \frac{y_{10}}{y_9} * 100 = 71.0\%$$

$$K_{2010} = \frac{y_{11}}{y_{10}} * 100 = 117.0 \%$$

$$K_{2011} = \frac{y_{12}}{y_{11}} * 100 = 135.1 \%$$

$$K_{2012} = \frac{y_{13}}{y_{12}} * 100 = 113.9 \%$$

$$K_{2013} = \frac{y_{14}}{y_{13}} * 100 = 99.6 \%$$

$$K_{2014} = \frac{y_{15}}{y_{14}} * 100 = 107.2 \%$$

$$K_{2015} = \frac{y_{16}}{y_{15}} * 100 = 84.9 \%$$

$$K_{2016} = \frac{y_{17}}{y_{16}} * 100 = 99.9 \%$$

$$K_{2017} = \frac{y_{18}}{y_{17}} * 100 = 108.9 \%$$

$$K_{2018} = \frac{y_{19}}{y_{18}} * 100 = 114.8 \%$$

განგარიშებიდან ჩანს, რომ საქართველოს იმპორტის ზრდის ტემპი 2001-2004 წლებში ხასიათდება ზრდით, 2006-2009 წლებში კლებით. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში კი ისევ ზრდის ტემპით.

➤ **მატების ტემპი:**

მატების ტემპი შეიძლება გამოვიანგარიშოთ, თუ ზრდის ტემპს გამოვაკლებთ 100-ს.

$$T_i = K_i\% - 100$$

$$T_{2001} = K\% - 100 = 6.0$$

$$T_{2002} = K\% - 100 = 5.7$$

$$T_{2003} = K\% - 100 = 43.3$$

$$T_{2004} = K\% - 100 = 61.9$$

$$T_{2005} = K\% - 100 = 34.9$$

$$T_{2006} = K\% - 100 = 47.7$$

$$T_{2007} = K\% - 100 = 41.8$$

$$T_{2008} = K\% - 100 = 20.9$$

$$T_{2009} = K\% - 100 = -29.0$$

$$T_{2010} = K\% - 100 = 17.0$$

$$T_{2011} = K\% - 100 = 35.1$$

$$T_{2012} = K\% - 100 = 13.9$$

$$T_{2013} = K\% - 100 = -0.4$$

$$T_{2014} = K\% - 100 = 7.2$$

$$T_{2015} = K\% - 100 = -15.1$$

$$T_{2016} = K\% - 100 = -0.1$$

$$T_{2017} = K\% - 100 = 8.9$$

$$T_{2018} = K\% - 100 = 14.8$$

ყველაზე მაღალი მატების ტემპი დაფიქსირდა 2004 წელს. ამ პერიოდში წინა წელთან შედარებით მოხდა მსუბუქი ავტომობილების იმპორტის 150%-ით ზრდა.

2000-2018 წლებში განხორციელებული იმპორტის სასაქონლო კრილში თვალსაჩინოდ წარმოსაჩენად განვიხილოთ ხუთ-ხუთი წლის მონაცემები ცალ-ცალკე.

ღირებულების მიხედვით დალაგებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები კი წარმოდგენას შეგვიქმნის ეროვნულ მოთხოვნაზე.

### ცხრილი N 3.3.

#### საქონლის იმპორტი 2000-2004 წლებში

მლნ. აშშ დოლარი

საქონლის დასახელება	2000	2001	2002	2003	2004
<b>იმპორტი - სულ</b>	<b>709.5</b>	<b>752.0</b>	<b>794.7</b>	<b>1,139.0</b>	<b>1,844.3</b>
მათ შორის:					
ნავთობი და ნავთობპროდუქტები	71.8	87.7	88.8	104.8	186.2
სამკურნალო საშუალებები					
დაფასობული	45.8	53.6	62.0	62.9	78.0
ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები სხვა	50.3	48.8	52.4	66.0	80.1
მსუბუქი ავტომობილები	15.5	13.1	21.9	46.5	116.3
შაქარი	25.4	24.1	34.7	53.0	50.8
მილები და მილაკები, სხვა, შავი ლითონებისაგან	0.2	0.6	0.4	93.7	80.0
ხორბალი და მესლინი	29.2	14.4	20.1	28.0	75.0
ფქვილი ხორბლის ან ხორბალ-ჭვავისა	25.5	25.9	8.8	9.8	48.8
სიგარები, სიგარილები და სიგარეტები					
თამბაქოს ან მისი შემცველებისაგან	29.4	18.7	18.9	20.8	27.8
ელექტროენერგია	14.7	14.4	16.9	24.2	30.7
დანარჩენი საქონელი	401.9	450.6	469.8	629.3	1,070.7

ცხრილი N 3.3. გვიჩვენებს 2000-2004 წლებში იმპორტირებულ ტოპ 10 საქონელს ღირებულების მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი). ცხრილიდანაც ნათლად ჩანს, რომ თითქმის ყველა საქონლის იმპორტი წლიდან წლამდე ზრდადი ტენდენციით ხასიათდება.

მსგავსი სურათი გვაქვს შემდეგ წლებშიც.

2005-2018 წლებში საქართველოს იმპორტს ასახავს ცხრილი N 3.4., ცხრილი N 3.5. და ცხრილი N 3.6..

### ცხრილი N 3.4.

#### იმპორტი 2005-2009 წლებში

მლნ. აშშ დოლარი

საქონლის დასახელება	2005	2006	2007	2008	2009
<b>იმპორტი - სულ</b>	<b>2,487.5</b>	<b>3,674.8</b>	<b>5,212.2</b>	<b>6,301.5</b>	<b>4,475.7</b>
მათ შორის:					
ნავთობი და ნავთობპროდუქტები	336.3	443.1	556.3	762.5	555.3
მსუბუქი ავტომობილები	178.5	294.5	369.7	706.8	304.4
ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები სხვა	90.8	213.1	293.9	204.7	191.7
სამკურნალო საშუალებები დაფასოებული	92.5	114.5	144.0	189.9	180.3
ხორბალი და მესლინი	45.1	99.1	139.2	108.9	105.1
დანარჩენი საქონელი	1,744.3	2,510.5	3,709.0	4,328.9	3,139.0

### ცხრილი N 3.5.

#### იმპორტი 2010-2014 წლებში

მლნ. აშშ დოლარი

საქონლის დასახელება	2010	2011	2012	2013	2014
<b>იმპორტი - სულ</b>	<b>5,236.0</b>	<b>7,072.3</b>	<b>8,056.4</b>	<b>8,022.5</b>	<b>8,601.8</b>
მათ შორის:					
ნავთობი და ნავთობპროდუქტები	696.9	910.5	951.4	954.3	918.4
მსუბუქი ავტომობილები	402.0	510.7	662.6	710.5	715.1
ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები სხვა	160.5	236.6	318.0	316.8	368.5
სამკურნალო საშუალებები დაფასოებული	191.9	201.4	232.8	281.3	314.6
ხორბალი და მესლინი	174.1	184.2	240.0	184.8	151.8
დანარჩენი საქონელი	3,610.6	5,028.8	5,651.6	5,574.8	6,133.5

### ცხრილი N 3.6.

#### იმპორტი 2015-2018 წლებში

მლნ. აშშ დოლარი				
პოზიციის დასახელება	2015	2016	2017	2018*
<b>იმპორტი - სულ</b>	<b>7,300.3</b>	<b>7,293.8</b>	<b>7,942.7</b>	<b>9,122.1</b>
მათ შორის:				
ნავთობი და ნავთობპროდუქტები	658.5	619.9	697.2	863.9
მსუბუქი ავტომობილები	468.2	477.0	476.5	605.7
ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები სხვა	416.1	314.7	306.7	284.1
სამკურნალო საშუალებები დაფასოებული	303.6	326.1	344.8	338.9
მადნები და კონცენტრატები სპილენძის	207.9	248.5	338.4	396.7
<b>დანარჩენი საქონელი</b>	<b>5,246.0</b>	<b>5,307.6</b>	<b>5,779.2</b>	<b>6,632.8</b>
*წინასწარი მონაცემები				

მოცემული ცხრილებიდან ჩანს, რომ უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფებს ბოლო 18 წლის განმავლობაში წარმოადგენდა: ნავთობი და ნავთობპროდუქტები, მსუბუქი ავტომობილები, ნავთობის აირები და სხვა აირისებრი ნახშირწყალბადები, დაფასოებული სამკურნალო საშუალებები, ხორბალი და მესლინი და ა.შ.

### ცხრილი N 3.7.

#### იმპორტი 2000-2018 წლებში

(მლნ. აშშ დოლარი)		
საქონლის კოდი	საქონლის დასახელება	მლნ. აშშ დოლარი
	<b>სულ</b>	<b>96,039.20</b>
	მათ შორის:	
2710	ნავთობი და ნავთობპროდუქტები	10,463.90
8703	მსუბუქი ავტომობილები	7,095.40
2711	ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები სხვა	4,013.70
3004	სამკურნალო საშუალებები დაფასოებული	3,558.70
1001	ხორბალი და მესლინი	2,017.20
	<b>დანარჩენი საქონელი</b>	<b>68,890.20</b>

### 3.3. ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში საქონლის იმპორტის სტატისტიკური ანალიზი

ევროკავშირი 28 დემოკრატიული სახელმწიფოს უნიკალური პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებაა, რომელიც მიზნად ისახავს მშვიდობის, კეთილდღეობისა და თავისუფლების უზრუნველყოფას მისი 500 მილიონზე მეტი მოქალაქისთვის, უფრო სამართლიან და უსაფრთხო სამყაროში.

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან, 1992 წლიდანვე იწყება. ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობა წლების განმავლობაში სულ უფრო მეტად იზრდებოდა. ორმხრივი ურთიერთობები უფრო ინტენსიური 2003 წლიდან ხდება, როცა საქართველო აქტიურად იწყებს პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გატარებას. ამ ურთიერთობებში სრულიად ახალი ეტაპი კი 2014 წლის 27 ივნისიდან იწყება, როდესაც ასოცირების შესახებ შეთანხმებას მოეწერა ხელი, რომელიც საქონლით საგარეო ვაჭრობის კუთხით ითვალისწინებდა მთელი რიგი შეზღუდვების მოხსნას, რომელიც სტიმულს მიცემდა ექსპორტ-იმპორტის სტიმულირებას.

ევროკავშირის ქვეყნებიდან 2000-2018 წლებში იმპორტის შესახებ სტატისტიკური მონაცემები მოცემულია ცხრილ N 3.8.-N 3.9.-ში.

#### ცხრილი N 3.8.

#### იმპორტი ევროკავშირის ქვეყნებიდან 2000-2009 წლებში

(მლნ. აშშ დოლარი)

	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009
<b>სულ</b>	<b>709.5</b>	<b>752.0</b>	<b>794.7</b>	<b>1139.0</b>	<b>1844.3</b>	<b>2487.6</b>	<b>3674.8</b>	<b>5212.2</b>	<b>6301.6</b>	<b>4475.7</b>
მათ შორის:										
ევროკავშირი	218.6	269.1	253.8	439.8	659.1	744.6	1118.9	1546.3	1764.3	1335.5
დანარჩენი ქვეყნები	490.9	482.9	540.9	699.2	1185.2	1743.0	2555.9	3665.9	4537.3	3140.2

ცხრილი N 3.9.

იმპორტი ევროკავშირის ქვეყნებიდან 2010-2018 წლებში

(მლნ. აშშ დოლარი)

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018*
<b>სულ</b>	<b>5,236.0</b>	<b>7,072.3</b>	<b>8,056.4</b>	<b>8,022.5</b>	<b>8,601.8</b>	<b>7,300.3</b>	<b>7,293.8</b>	<b>7,942.7</b>	<b>9,122.1</b>
მათ შორის:									
ევროკავშირი	1470.1	2054.9	2431.6	2266.1	2372.0	2080.9	2214.8	2200.0	2505.3
დანარჩენი ქვეყნები	3765.9	5017.4	5624.8	5756.5	6229.8	5219.4	5079.0	5742.7	6616.8

\*წინასწარი მონაცემები

თუ მოცემული მონაცემების მიხედვით გავიანგარიშებთ აბსოლიტურ და საშუალო აბსოლიტურ მატებას, გავიგებთ ყოველწლიურად საშუალოდ რამდენით იზრდებოდა ან მცირდებოდა ევროკავშირიდან იმპორტი და იქონია თუ არა რამე ძირეული გავლენა ასოცირების ხელშეკრულებამ იმპორტის სასაქონლო ნაკადებზე. მიღებული მონაცემებს შევუდარებთ იგივე პერიოდში მსოფლიოდან განხორციელებულ დანარჩენ იმპორტს გამოხატულ მლნ. აშშ დოლარებში.

აბსოლიტურ მატებას გამოსათვლელად გამოვიყენოთ ჯაჭვური მეთოდი:

$$\Delta_{2001} = y_2 - y_1 = 50.5$$

$$\Delta_{2002} = y_3 - y_2 = -15.3$$

$$\Delta_{2003} = y_4 - y_3 = 186.0$$

$$\Delta_{2004} = y_5 - y_4 = 219.3$$

$$\Delta_{2005} = y_6 - y_5 = 85.5$$

$$\Delta_{2006} = y_7 - y_6 = 374.4$$

$$\Delta_{2007} = y_8 - y_7 = 427.4$$

$$\Delta_{2008} = y_9 - y_8 = 218.0$$

$$\Delta_{2009} = y_{10} - y_9 = -428.8$$

$$\Delta_{2010} = y_{11} - y_{10} = 134.6$$

$$\Delta_{2011} = y_{12} - y_{11} = 584.8$$

$$\Delta_{2012} = y_{13} - y_{12} = 376.7$$

$$\Delta_{2013} = y_{14} - y_{13} = -165.5$$

$$\Delta_{2014} = y_{15} - y_{14} = 105.9$$

$$\Delta_{2015} = y_{16} - y_{15} = -291.1$$

$$\Delta_{2016} = y_{17} - y_{16} = 133.9$$

$$\Delta_{2017} = y_{18} - y_{17} = -14.8$$

$$\Delta_{2018} = y_{19} - y_{18} = 305.3$$

ჯაჭვური მეთოდით გაანგარიშებული საშუალო აბსოლიტური მატება იქნება:  $\bar{\Delta} = 120.4$

ეს მაჩვენებელი გულისხმობს, რომ 2000-2018 წლებში საშუალოდ ყოველწლიურად ევროკავშირის ქვეყნებიდან იმპორტი 120.4 მლნ. აშშ დოლარით იზრდებოდა.

იგივე მეთოდით გაანგარიშებული საშუალო აბსოლიტური მატება დანარჩენი ქვეყნებისთვის იქნება 322.4.

აბსოლუტური მაჩვენებლების საფუძველზე გაიანგარიშება რიგი შეფარდებითი მაჩვენებელი. მაგალითად:

იმპორტული კვოტა = ცალკეული საქონლის იმპორტი/მოცემული საქონლის წარმოების მოცულობა.

მოცემული კვოტა შეიძლება გამოყენებული იქნეს, როგორც იმპორტის შეზღუდვის საზომი შიდა ბაზრის დასაცავად.

საერთაშორისო გაცვლაში მონაწილეობის ხარისხსა და ეროვნული ბაზრის გაჯერებულობას ახასიათებს სტატისტიკური მაჩვენებელი \_ იმპორტის ქვოტა:

$$I_j = \frac{\text{იმპ}}{\text{მშპ}} \times 100 \%$$

სადაც,  $I_j$  - იმპორტის ქვოტა;

$\text{იმპ}$  - იმპორტის მოცულობა.

აღნიშნული მაჩვენებელი შეიძლება დადგინდეს მთლიანად ეკონომიკის მიხედვით, ასევე ცალკეული რეგიონის, დარგისა და სასაქონლო ჯგუფის დონეზე.

### ცხრილი N 3.10.

#### იმპორტის ქვოტა საქართველოში 2010-2018 წლებში (%)

(მლნ. აშშ დოლარი)

წელი	მშპ (მლნ. აშშ დოლარი)	იმპორტი ევროკავშირის ქვეყნებიდან (მლნ. აშშ დოლარი)	იმპორტის ქვოტა (%)
2010	11636.5	1470.1	12.6
2011	14438.5	2054.9	14.2
2012	15846.8	2431.6	15.3
2013	16139.9	2266.1	14.0
2014	16507.8	2372	14.4
2015	13988.1	2080.9	14.9
2016	14377.9	2214.8	15.4
2017	15086.5	2200	14.6
2018*	16207.1	2505.3	15.5

\*წინასწარი მონაცემები

ევროკავშირის ქვეყნებთან სავაჭრო პროცესებში საქართველოს მონაწილეობის ხარისხი 2010 წლიდან 2018 წლამდე მხოლოდ 2,9%-ით გაიზარდა (ცხრილი N 3.10.) და 2018 წელს 15,5 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული ინდიკატორი ასევე გვიჩვენებს, თუ რამდენად არის შიდა ბაზარი გაჯერებული იმპორტირებული საქონლით.

ტერმინი „კვოტა“ საგარეო ვაჭრობაში გამოიყენება სამი მნიშვნელობით:

1. როგორც საქონლის შემოტანისა და გატანის რაოდენობრივი შეზღუდვის მეთოდი;
2. როგორც მსოფლიო ვაჭრობაში ქვეყნის წილის მახასიათებელი მაჩვენებელი;
3. როგორც ქვეყნის ეკონომიკისათვის ექსპორტისა და იმპორტის მნიშვნელობის მაჩვენებელი.

### 3.4. ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფების იმპორტი 2010-2018 წლებში

ევროკავშირის ქვეყნებიდან 2010-2018 წლებში საქართველოში იმპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფებია: ნავთობპროდუქტები, სამკურნალო საშუალებები, მსუბუქი და სატვირთო ავტომობილები, სატელეფონო აპარატები და ა. შ. აღნიშნული სასაქონლო ჯგუფების ღირებულებას და წილს ევროგაერთიანებიდან იმპორტში ასახავს ცხრილი N 3.11, ცხრილი N 3.12 და დიაგრამა N 3.5.

#### ცხრილი N 3.11.

(მლნ. აშშ დოლარი)

საქონლის კოდი	საქონლის დასახელება	2010	2011	2012	2013	2014
	<b>სულ</b>	<b>1,470.1</b>	<b>2,054.9</b>	<b>2,431.6</b>	<b>2,266.1</b>	<b>2,372.0</b>
	მათ შორის:					
2710	ნავთობი და ნავთობპროდუქტები	285.5	437.5	498.3	486.0	523.0
3004	სამკურნალო საშუალებები დაფასოებული	106.4	118.2	142.7	174.9	180.8
8703	მსუბუქი ავტომობილები	122.4	173.9	202.7	204.6	152.3
8704	სატვირთო ავტომობილები	33.3	41.6	50.3	46.5	48.2
8517	სატელეფონო აპარატები	28.9	39.0	33.1	24.5	26.7
	დანარჩენი საქონელი	893.5	1244.7	1504.4	1329.7	1440.9

#### ცხრილი N 3.12.


(მლნ. აშშ დოლარი)

საქონლის კოდი	საქონლის დასახელება	2015	2016	2017	2018*
	<b>სულ</b>	<b>2,080.9</b>	<b>2,214.8</b>	<b>2,200.0</b>	<b>2,505.3</b>
	მათ შორის:				
2710	ნავთობი და ნავთობპროდუქტები	346.8	311.1	312.4	356.2
3004	სამკურნალო საშუალებები დაფასოებული	169.2	178.5	211.2	203.4
8703	მსუბუქი ავტომობილები	114.5	131.5	100.2	75.4
8704	სატვირთო ავტომობილები	34.2	34.1	39	43.8
8517	სატელეფონო აპარატები	36.2	44.8	33.8	40.3
	დანარჩენი საქონელი	1379.9	1514.7	1503.5	1786.2

\*წინასწარი მონაცემები

დიაგრამა N 3.5.

2010-2018 წლებში ევროკავშირის ქვეყნებიდან იმპორტირებული უმსხვილესი სასქონლო ჯგუფების წილი ევროგაერთიანებიდან მთლიან იმპორტში



2010-2018 წლებში საქართველოში მსოფლიოდან დაახლოებით 68,7 მილიარდი აშშ დოლარის საქონლის იმპორტი განხორციელდა. ევროკავშირიდან ჩვენს ქვეყანაში შემოტანილი ყველა საქონლის წილი საქართველოს მთლიანი იმპორტის მესამედსაც არ შეადგენს, მაგრამ ცალკეული საქონლის, მაგალითად ევროგაერთიანებიდან შესყიდული ნავთობი და ნავთობპროდუქტები შეფარდებით გაცილებით მაღალია, დანარჩენი მსოფლიოდან განხორციელებულ იმპორტთან შედარებით.


2010-2018 წლების განმავლობაში საქართველოში ევროკავშირიდან ჯამურად დაახლოებით 3,6 მლრდ. აშშ დოლარის ღირებულების 4,6 მლრდ. ტონა ნავთობპროდუქტები შემოვიდა.

2010-2014 წლებში ევროკავშირის წილი რაოდენობრივ (ტონა) მაჩვენებლებში გამოხატული ნავთობპროდუქტების მთლიან იმპორტში 39,9%-დან 54,7%-მდე გაიზარდა. იგივე პერიოდში აღნიშნული საქონლის იმპორტი დსთ-ს ქვეყნებიდან კლებადი ტენდენციით ხასიათდებოდა და 58,4%-დან 41,9%-მდე შემცირდა.

2015-2018 წლებში სურათი საპირისპიროდ იცვლება ქვეყნების ორივე ჯგუფისთვის. ამ პერიოდში ევროკავშირის წილი იკლებს 48,1%-დან 38,6%-მდე, ხოლო დსთ-ს ქვეყნების წილი ნავთობპროდუქტების მთლიან იმპორტში იზრდება 50,5%-დან 60,0%-მდე. შეიძლება ითქვას, რომ ეროვნულ ბაზარზე არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილება ქვეყნების ამ ორი ჯგუფის მონაცვლეობით მიმდინარეობდა.

**დიაგრამა N 3.6.**

**ნავთობის და ნავთობპროდუქტების იმპორტის წილი ევროკავშირიდან\* და დსთ-დან.**



\*ევროკავშირი მოიცავს 28 ქვეყანას

2010-2018 წლებში საავტომობილო ბენზინის 78 %, რაც დაახლოებით 3,2 მლრდ. ტონას უდრის, ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოვიდა, აქედან 63,6% ოქტანური რიცხვით 95-ზე ნაკლები იყო. შედარებით დაბალი ხარისხის საწვავზე ეროვნული მოთხოვნა განპირობებულია მისი დაბალი ფასით. საავტომობილო ბენზინის იმპორტიორ ქვეყნებში მოწინავე პოზიციებზე ისევ რუმინეთი, ბულგარეთი და საბერძნეთი იყვნენ.

საავტომობილო ბენზინის იმპორტთან დაკავშირებულ სტატისტიკურ მონაცემებს ასახავს ცხრილი N 3.13.

ცხრილი N 3.13.

სავაჭრო ბენზინის იმპორტი

(ათასი ტონა)

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018*
<b>სულ</b>	436.2	402.1	383.7	376.2	373.9	441.2	576.8	533.8	547.6
მათ შორის:									
ევროკავშირი*	257.8	299.2	322.8	347.4	368.5	405.9	463.4	377.8	325.8
დანარჩენი ქვეყნები	178.4	102.9	60.9	28.9	5.4	35.3	113.4	156.0	221.8

\*ევროკავშირი მოიცავს 28 ქვეყანას

ევროკავშირის ქვეყნებიდან იმპორტირებული უმსხვილეს სასაქონლო ჯგუფებში შედის სამკურნალო საშუალებებიც.


2010-2018 წლების განმავლობაში საქართველოში ევროკავშირიდან ჯამურად დაახლოებით 1,5 მლრდ. აშშ დოლარის სამკურნალო საშუალებები შემოვიდა. უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყნები იყო: გერმანია, უნგრეთი, საფრანგეთი, ავსტრია და ბულგარეთი, რომელთაგან ამ ცხრა წლიან პერიოდში ევროკავშირის ქვეყნებიდან სამკურნალო საშუალებების ნახევარზე მეტის იმპორტი განხორციელდა.

2010-2018 წლებში მსოფლიოდან იმპორტირებულ სამკურნალო საშუალებებში, საშუალოდ 58,6 %-ს ევროკავშირიდან შესყიდული საქონელი შეადგენდა. 10,4 % შემოვიდა დსთ-ს ქვეყნებიდან, ხოლო 31,0 % დანარჩენი ქვეყნებიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ 2015-2016 წლებში საქართველომ C ჰეპატიტთან საბრძოლველად ირლანდიიდან და კანადიდან ჰუმანიტარული დახმრების ფორმით მედიკამენტები მიიღო. საერთაშორისო მეთოდოლოგიის თანახმად, აღნიშნული ტვირთი დაფიქსირდა, როგორც საქართველოს იმპორტი. აღნიშნული სასაქონლო ნაკადების შემოდინებამ ქვეყანაში უმეტესი გავლენა იქონია „დანარჩენი ქვეყნების“ ჯგუფზე.

### დიაგრამა N 3.7.

#### სამკურნალო საშუალებების იმპორტის წილი (%)



\*ევროკავშირი მოიცავს 28 ქვეყანას

როგორც დიაგრამა N10-დან ჩანს დანარჩენი ქვეყნების კატეგორიაში შემავალი კანადიდან იმპორტირებულმა ჰუმანიტარულმა დახმარებამ 2015-2016 წლებში სამკურნალო საშუალებების იმპორტის წილი მნიშვნელოვნად გაზარდა.

ევროკავშირის ქვეყნებიდან იმპორტირებულ უმსხვილეს სასაქონლო ჯგუფებში შედის ფიჭური ქსელებისთვის ან სხვა უსადენო ქსელებისთვის განკუთვნილი სატელეფონო აპარატებიც.

2010-2018 წლებში საქართველოში 1,4 მლრდ. აშშ დოლარის ღირებულების აღნიშნული საქონლის იმპორტი განხორციელდა. დაახლოებით 307 მლნ. აშშ დოლარის შემოვიდა ევროკავშირის ქვეყნებიდან, რომელთაგან უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყნები იყო: ნიდერლანდი, გერმანია და ჩეხეთი.


ბაზარზე ამ სასაქონლო ჯგუფში შემავალი ყველაზე მოთხოვნადი პროდუქტია მობილური ტელეფონები.

2010-2018 წლებში ევროკავშირის ქვეყნებიდან ჯამში 480 230 ცალი მობილური ტელეფონი შემოვიდა, ხოლო დანარჩენი ქვეყნებიდან 11 578 998 ცალი. დანარჩენი მსოფლიოდან იმპორტიორ ქვეყნებში მოწინავე პოზიციებზე არიან: არაბთა

გაერთიანებული საამიროები, ჰონ-კონგი, ჩინეთი, ვიეტნამი, ინდოეთი, სინგაპური და ა.შ. ადგილობრივი მოთხოვნა ძირითადად აზიური ბაზრისკენ არის მიმართული, რაც შეიძლება აიხსნას ამ ქვეყნებში მობილური ტელეფონების შედარებით დაბალი ფასებით.

**დიაგრამა N 3.8.**

**სამკურნალო საშუალებების იმპორტში ქვეყნების წილი (%)**



ევროკავშირის ქვეყნებთან მონაცემების შესადარისობისთვის გამოვიყენებთ COMTRADE (Common format for Transient Data Exchange for power systems)-ის ბაზას, რომელიც საშუალებას გვაძლევს გლობალური ვაჭრობის დეტალური მონაცემებზე გვექონდეს ხელმისაწვდომობა.

Comtrade არის ოფიციალური საერთაშორისო სავაჭრო სტატისტიკისა და შესაბამისი ანალიტიკური ცხრილის ერთგვარი საცავი, სადაც სხვა და სხვა ქვეყნის სტატისტიკურ მონაცემებზე ინფორმაცია ერთიან ფორმატში არის წარმოდგენილი.

მონაცემებს შორის განსხვავების ანუ სტატისტიკური ასიმეტრიის დონე შეიძლება გაიზომოს შემდეგი ტოლობის საშუალებით:

$$DIF_{st}^{ij} = \frac{imp_{st}^{ij} - exp_{st}^{ij}}{imp_{st}^{ij}}$$

სადაც,  $imp_{st}^{ij}$  არის j ქვეყნის მიერ რეგისტრირებული s საქონლის იმპორტი განხორციელებული i ქვეყნიდან t პერიოდში;

$exp_{st}^{ij}$  არის i ქვეყნის მიერ რეგისტრირებული s საქონლის ექსპორტი განხორციელებული j ქვეყანაში t პერიოდში.

განვიხილოთ რუმინეთიდან იმპორტირებული ნავთობპროდუქტების და ევროკავშირის 28 ქვეყნიდან საქართველოში შემოტანილი სამკურნალო საშუალებების შესახებ არსებული ექსპორტ-იმპორტის მონაცემები:

### ცხრილი N 3.14.

საქართველო-რუმინეთს<sup>2</sup> შორის ნავთობით და ნავთობპროდუქტებით ვაჭრობის სტატისტიკური მონაცემების სარკისებური შედარება

(ათასი ტონა)

ქვეყანა	ტიპი	2014	2015	2016	2017	2018*
საქართველო	იმპორტი	308.4	323.0	378.9	307.0	282.7
რუმინეთი	ექსპორტი	349.5	372.5	418.0	329.4	283.3
განსხვავება		-41.1	-49.5	-39.1	-22.5	-0.7
სტატისტიკური ასიმეტრიის დონე (%)		-13.3	-15.3	-10.3	-7.3	-0.2

\*წინასწარი მონაცემები

<sup>2</sup> <https://comtrade.un.org/data/>

**ცხრილი N 3.15.**

**საქართველო-ევროკავშირს\* შორის სამკურნალო საშუალებებით ვაჭრობის**

**სტატისტიკური მონაცემების სარკისებური შედარება**

(ათასი აშშ. დოლარი)

ქვეყანა	ტიპი	2014	2015	2016	2017	2018**
საქართველო	იმპორტი	32	25.8	31.2	36.4	37.9
გერმანია	ექსპორტი	33.8	30.5	39.5	38.4	44.1
განსხვავება		-1.8	-4.7	-8.3	-2	-6.2
სტატისტიკური ასიმეტრიის დონე (%)		-5.6	-18	-26.5	-5.4	-16.3

\*ევროკავშირი მოიცავს 28 ქვეყანას

\*\*წინასწარი მონაცემები

ცხრილების მიხედვით ჩანს, რომ ასიმეტრიის დონე მივიღეთ უარყოფითი. ამის სხვა და სხვა მიზეზი შეიძლება არსებობდეს. მაგალითად, პარტნიორი ქვეყნიდან გამოგზავნილი საქონლის რეალიზაცია შეიძლება მოხდეს ტრანსპორტირების პერიოდში და ჩვენი ქვეყნის საზღვარი შედარებით ნაკლები რაოდენობის საქონელმა გადმოკვეთოს.

ცხრილი N 3.14-ის მიხედვით ასიმეტრიის დონის უარყოფითი მნიშვნელობა შეიძლება გამოწვეული იყოს იმითაც, რომ საქართველოში რუმინეთიდან შემოსული ნავთობის იმპორტში გადატანა პერიოდულად ხდება საბაჟო საწყობიდან.

საბაჟო საწყობი წარმოადგენს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე არსებული, ტერიტორიულად განცალკევებული შენობა-ნაგებობების ან/და მიწის ნაკვეთისაგან შემდგარი ტერიტორიას, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ან განხორციელდება ნებართვით განსაზღვრული საქმიანობა.

საწყობში შესაძლებელია:

- საქონლის შენახვა, რომელიც მოქცეულია საწყობის სასაქონლო ოპერაციაში;

- საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასატანი საქონლის სასაქონლო ოპერაციის სახის განსაზღვრის დასრულებამდე დროებით შენახვა;
- სარკინიგზო ტრანსპორტით გადაადგილებული საქონლის დროებით შენახვა, რომლის მიმართაც უკვე განსაზღვრულია სასაქონლო ოპერაცია;
- საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დროებით გაჩერება;

საგადასახადო ორგანოს თანხმობით:

- საქართველოს საქონლის 3 თვემდე ვადით შენახვა;
- საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული უცხოური საქონლის შენახვა ამ საქონლის საბაჟო საწყობში გადამუშავებისას.

უნდა აღინიშნოს, რომ საწყობის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონლის შენახვის ვადა 2 წელს არ უნდა აღემატებოდეს, თუმცა დეკლარანტმა შეიძლება გააგრძელოს ეს ვადა შეუზღუდავი რაოდენობით, იმ პირობით, რომ თითოეული გაგრძელებული ვადა 2 წელს არ უნდა აღემატებოდეს.

შესაბამისად დროის განსაზღვრულ მომენტში დასაწყობებული საქონელი, შემოტანისთანავე არ აისახება იმპორტში, მას აქვს დროებითი რეჟიმის სტატუსი და საერთაშორისო მეთოდოლოგიის მიხედვით, მანამ სანამ იმპორტიორი კომპანია არ გადაწყვეტს საქონლის განბაჟებას, არ გაითვალისწინება ქვეყნის საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში.

### ცხრილი N 3.16.

#### საქართველო-ევროკავშირს\* შორის სატელეფონო აპარატებით ვაჭრობის სტატისტიკური მონაცემების სარკისებური შედარება

(მლნ. აშშ დოლარი)

ქვეყანა	ტიპი	2014	2015	2016	2017
საქართველო	იმპორტი	26.7	36.2	44.8	33.8
ევროკავშირი*	ექსპორტი	26.2	25.9	27.5	29.9
განსხვავება		0.5	10.4	17.3	3.9
სტატისტიკური ასიმეტრიის დონე (%)		2.0	28.6	38.7	11.6

\*ევროკავშირი მოიცავს 28 ქვეყანას

წინა ცხრილებისგან განსხვავებით, ცხრილ N 3.16-ში ასიმეტრიის დონე გვაქვს დადებითი. მისი საშუალო მნიშვნელობა ოთხი წლის განმავლობაში დაახლოებით 20%-ია.

მონაცემების მიხედვით ევროკავშირის ქვეყნების ექსპორტის ღირებულებითი მაჩვენებელი ნაკლებია იგივე პერიოდში საქართველოს მიერ დაფიქსირებულ იმპორტის მნიშვნელობაზე. თანამდროვე ტექნიკაზე მოთხოვნა ეროვნულ ბაზარზე მზარდია და დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ იქნება ტექნიკის პირველი მიმწოდებელი ბაზარზე, შესაბამისად, ამ სახის საქონლის დასაწყობებას-განუზაფხებლად, რასაც ადგილი ჰქონდა ნავთობპროდუქტების შემთხვევაში, ნაკლებად აქვს ადგილი.

ასიმეტრიის დონის დადებითი მნიშვნელობა შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ ევროკავშირი იყენებს სპეციალურ სავაჭრო სისტემას, რომელიც როგორც უკვე ავღნიშნეთ გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როცა სტატისტიკური ტერიტორია წარმოადგენს ეკონომიკური ტერიტორიის გარკვეულ ნაწილს.

სპეციალური სავაჭრო სისტემის „ვიწრო“ გაგება მოიცავს შემთხვევას, როდესაც სტატისტიკური ტერიტორია მოიცავს მხოლოდ თავისუფალი მიმოქცევის ზონას ანუ ადგილს, სადაც საქონელი შეიძლება რეალიზებულ იქნას ყოველგვარი საბაჟო შეზღუდვების გარეშე.

სტატისტიკური აღრიცხვის „ფართო“ გაგების მიხედვით კი, თავისუფალი მიმოქცევის ზონაში რეალიზებული საქონლის გარდა, ის ასევე მოიცავს საქონლის იმპორტს შიდა გადამუშავების მიზნით ან გადამუშავების შემდგომ საქონლის ექსპორტს.

ევროკავშირის ქვეყნებში ყოელწლიურად დიდი ოდენობით სატელეფონო აპარტების იმპორტი ხდება აზიის ქვეყნებიდან. ალბათობა იმისა, რომ არსებობს აზიიდან შემოტანილი პროდუქტი, რომელიც პირდაპირ საწყობებიდან გადის ევროკავშირის ქვეყნებიდან, დიდია. ეს საქონელი კი, სპეციალური სავაჭრო სისტემის გამო არ ხვდება ევროკავშირის ექსპორტში. ხოლო რაც შეეხება იმპორტიორ ქვეყანას, ჩვენს შემთხვევაში საქართველოს, რომელიც იმპორტის აღრიცხვას ახდენს გამომგზავნი ქვეყნის მიხედვით, ის პარტნიორ ქვეყნად აუცილებლად დააფიქსირებს ევროკავშირის ქვეყანას, რაც შემდგომში იწვევს მონაცემთა შორის განსხვავების წარმოქმნას.

### 3.5. საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები და იმპორტიორები ევროკავშირიდან 2010-2018 წლებში

2010-2018 წლებში საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები ევროკავშირიდან იყო: გერმანია, რუმინეთი, იტალია, ბულგარეთი და ნიდერლანდი. ევროკავშირის 28 ქვეყნიდან საქართველოში განხორციელებული ექსპორტის 56,3% ამ ხუთი ქვეყნიდან განხორციელდა.

#### ცხრილი N 3.17.

ევროკავშირის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2010-2018 წლების იმპორტის მიხედვით

(მლნ. აშშ დოლარი)

ქვეყანა	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018*
გერმანია	334.7	481.4	540.6	449.4	466.1	431.0	420.4	433.5	430.9
რუმინეთი	140.8	186.2	259.2	323.2	312.1	207.1	190.3	191.0	209.2
იტალია	136.7	184.8	271.7	220.7	221.9	197.7	262.7	218.0	231.4
ბულგარეთი	131.7	255.5	271.1	194.5	209.8	167.6	150.4	155.5	181.6
ნიდერლანდი დანარჩენი	105.2	133.3	142.5	125.0	148.6	128.2	217.2	155.2	205.4
<b>ქვეყნები</b>	<b>621.0</b>	<b>813.8</b>	<b>946.5</b>	<b>953.2</b>	<b>1013.5</b>	<b>949.2</b>	<b>973.8</b>	<b>1046.7</b>	<b>1246.8</b>

\*წინასწარი მონაცემები

2010-2018 წლებში გერმანიიდან იმპორტირებული ძირითადი საქონლები იყო: მსუბუქი ავტომობილები, სამკურნალო საშუალებები, სატვირთო ავტომობილები და ა.შ ნიდერლანდიდან უმეტესად შემოვიდა გამომთვლელი მანქანები, სამკურნალო საშუალებები, სატელეფონო აპარატები. რუმინეთიდან, იტალიიდან და ბულგარეთიდან იმპორტირებული უმსხვილესი საქონელი იყო ნავთობი და ნავთობპროდუქტები.

2010-2018 წლებში ევროკავშირის ქვეყნებიდან უმსხვილესი იმპორტიორი კომპანიები იყო: შპს „რომპეტროლ საქართველო“, შპს „ლუკოილ-ჯორჯია“, სს „გეფა“, შპს „პსპ ფარმა“, სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“, „სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველო“, შპს „ავერსი-ფარმა“, შპს „ჯორჯიან ეარვეისი“, შპს „ფერი“, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“.

აქედან შპს „ლუკოილ-ჯორჯია“, სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“, შპს „რომპეტროლ საქართველო“ და შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ წარმოადგენენ ევროკავშირიდან საავტომობილო ბენზინის ძირითად იმპორტიორებს. აღნიშნული კომპანიების ძირითად საქმიანობას საწვავით ვაჭრობა წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს კომპანიები არ არიან საავტომობილო საწვავის საქართველოდან ექსპორტიორების მოწინავე რიგებში, რაც გვამლევს იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ მათ მიერ შესყიდული აღნიშნული საქონელი უმეტესად ეროვნულ ბაზარზე არსებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად გამოიყენება.

სს „გეფა“, შპს „პსკ ფარმა“ და შპს „ავერსი-ფარმა“ წარმოადგენენ სამკურნალო საშუალებების ძირითად იმპორტიორებს ევროკავშირის ქვეყნებიდან.

„სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველო“, შპს „ჯორჯიან ეარვეისი“ და შპს „ფერი“ ძირითადად დაკავებულები არიან გენერატორების, ტუმბოების, ძრავების, საფრენი აპარატების ნაწილების, ამწეების და ამ კატეგორიის სხვა და სხვა საქონლის იმპორტით.

ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში იმპორტიორებში ინდ მეწარმეების რაოდენობა იზრდება 2014 წლამდე. 2014 წლის შემდეგ იმპორტიორ პირებში ადგილი აქვს ორგანიზაციების რაოდენობის ზრდას.

2019 წლის მეორე ნახევრამდე არსებობდა ე.წ. „ოქროს სია“. „ოქროს სიის“ მონაწილე იყო პირი, რომელიც სარგებლობდა გამარტივებული საბაჟო პროცედურებით და იმპორტის გადასახდელების გადახდის განსხვავებული ვადით.

ოქროს სიის მონაწილეთათვის გამარტივებული საბაჟო პროცედურები გულისხმობდა:

- „ოქროს სიის“ მონაწილის კუთვნილი საქონელი ან წინასწარ დეკლარირებული საქონელი შესაძლებელი იყო, პირდაპირ გადაადგილებულიყო იმპორტიორის საწყობში;
- თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებულ საქონელზე იმპორტის გადასახადის გადახდა ხდებოდა საქონლის გაშვებიდან 30 კალენდარულ დღეში.

საქართველოს ფინანსთა მინისტრ ვანო მაჭავარიანის 2019 წლის 31 მაისს ხელმოწერილი ბრძანება №162- ის მიხედვით კომპანიების ე.წ. „ოქროს სია“ გაუქმდა.


კერძოდ, მინისტრის გადაწყვეტილებით, „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვით, იმპორტის გადასახდელების გადახდის 5-დღიანი ვადა გავრცელდება „ოქროს სიის“ მონაწილის კუთვნილ საქონელზეც (ნაცვლად მანამდე მოქმედი 30-დღიანი ვადისა) და წინასწარ (საქონლის შემოტანამდე) დეკლარირებულ საქონელზეც (ნაცვლად მანამდე მოქმედი 15-დღიანი ვადისა). აღნიშნული ცვლილება აქციზური საქონლის მიმართ ამოქმედდა გამოქვეყნებიდან მე-10 დღეს (2019 წლის 12 ივნისს), ხოლო სხვა შემთხვევაში –გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს (2019 წლის 2 ივლისს).

უნდა აღინიშნოს, რომ ოქროს სიის გაუქმება დიდი გავლენას არ ახდენს იმპორტიორ კომპანიების სტიმულებზე, არამედ პირიქით, ახალ მოდელს, რომელიც ეფუძნება ევროკავშირის პრაქტიკას, აქვს მთავარი – ყველა სახის გადამხდელი უნდა იყოს ჩაყენებული თანაბარ და კონკურენტუნარიან პირობებში და ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესისთვის.

დიაგრამა N 3.9.-ზე ნაჩვენებია იმპორტიორების რაოდენობის დინამიკა.

**დიაგრამა N 3.9.**

**იმპორტიორების რაოდენობა ევროკავშირის ქვეყნებიდან 2010-2018 წლებში.**



### 3.6. ევროკავშირის ქვეყნებიდან საქონლის იმპორტი სხვა და სხვა კლასიფიკაციის მიხედვით

საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში დეტალური კლასიფიკაციის გამოყენების აუცილებლობა განსაზღვრულია საბაჟო და სტატისტიკური მოთხოვნების საკმაოდ რთული ხასიათით.

დღესდღეისობით საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური საქონლით საგარეო ვაჭრობის მონაცემების გავრცელებისთვის იყენებს სხვა და სხვა კლასიფიკაციებს თუ დეტალიზაციის განსხვავებულ დონეებს.

როგორც უკვე აღნიშნა, 2004 წელს სტატისტიკურმა კომისიამ, 35-ე სესიაზე, მიიღო გადაწყვეტილება, რომ ჰარმონიზებულ სისტემაში შესული მრავალრიცხოვანი ცვლილებების გამო, მოემზადებინათ საქონლის საერთაშორისო სტანდარტული სავაჭრო (Standart international Trade Classification –SITC) კლასიფიკაციის მეოთხე ვარიანტი სემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- საქონლის წარმოებისას გამოყენებული მასალის შემადგენლობა;
- სამრეწველო გადამუშავების სტადია;
- პროდუქტის დანიშნულება და სავაჭრო პრაქტიკა;
- საქონლის ადგილი საერთაშორისო ვაჭრობაში;
- ტექნოლოგიური ცვლილებები.

2010-2018 წლებში ევროკავშირიდან განხორციელებული საქონლის იმპორტის მიხედვით საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტულ კლასიფიკაციაში სექციების შესაბამისმა მაჩვენებლებმა მიიღო სახე, რომელიც ასახულია ცხრილ N 3.18.-ში.

**ცხრილი N 3.18.**

**საქართველოს იმპორტი ევროკავშირის ქვეყნებიდან საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული კლასიფიკაციის (სვსკ - SITC) სექციების მიხედვით**

(მლნ. აშშ დოლარი)

სექციის კოდი	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018*
<b>სულ</b>	<b>1,470.1</b>	<b>2,054.9</b>	<b>2,431.6</b>	<b>2,266.1</b>	<b>2,372.0</b>	<b>2,080.9</b>	<b>2,214.8</b>	<b>2,200.0</b>	<b>2,505.3</b>
მათ შორის:									
7	487.9	760.5	952.1	772.5	719.4	651.6	825.1	675.3	762.5
3	310.1	442.4	499.6	487.3	528.2	355.0	313.4	316.8	357.8
5	214.7	245.4	284.9	333.5	359.8	335.3	346.8	411.1	428.6
8	147.9	189.2	237.4	220.3	253.5	242.8	275.8	278.0	316.9
6	139.2	207.8	224.6	190.1	210.4	189.5	211.7	223.8	236.7
0	101.3	125.1	153.1	143.6	173.1	183.8	171.0	203.8	219.7
1	38.4	41.1	36.5	43.3	56.7	44.9	33.7	43.8	45.3
2	23.2	36.1	33.9	41.6	59.3	62.3	29.6	32.5	37.8
9	4.4	2.5	4.1	29.6	6.8	11.7	3.5	9.8	94.8
4	2.9	4.8	5.3	4.5	4.8	4.0	4.3	5.1	5.1

\* წინასწარი მონაცემები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ანალიტიკურ მიზნებს ემსახურება კლასიფიკაცია ფართო ეკონომიკური კატეგორიების მიხედვით (BEC), სადაც საქონლის მსხვილი ეკონომიკური ჯგუფები კლასიფიცირებულია მათი საბოლოო გამოყენების მიხედვით. ის მოიცავს 7 ჯგუფს. ესენია:

ჯგუფი N1 – სასმელი და საკვები პროდუქტები;

ჯგუფი N2 – სამრეწველო პროდუქცია (სხვა ადგილას დაუსახელებელი);

ჯგუფი N3 – საწვავი და საცხები მასალები;

ჯგუფი N4 – კაპიტალური საქონელი (გარდა სატრანსპორტო საშუალებებისა)

სათადარიგო ნაწილებისა და აქსესუარების ჩათვლით;

ჯგუფი N5 – სატრანსპორტო საშუალებები, მათი ნაწილები და აქსესუარები;

ჯგუფი N6 – სამომხმარებლო საქონელი (სხვა ადგილას დაუსახელებელი);

ჯგუფი N7 – სხვაგან დაუსახელებელი დანარჩენი საქონელი.

2010-2018 წლებში ევროკავშირიდან განხორციელებული საქონლის იმპორტის მიხედვით კლასიფიკაციამ ფართო ეკონომიკური კატეგორიების მიხედვით მიიღო შემდეგი სახე:

**ცხრილი N 3.19.**

**საქართველოს იმპორტი ევროკავშირის ქვეყნებიდან ფართო ეკონომიკური კატეგორიების მიხედვით**

(მლნ. აშშ დოლარი)

ჯგუფის კოდი	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018*
<b>სულ</b>	<b>1,470.1</b>	<b>2,054.9</b>	<b>2,431.6</b>	<b>2,266.1</b>	<b>2,372.0</b>	<b>2,080.9</b>	<b>2,214.8</b>	<b>2,200.0</b>	<b>2,505.3</b>
მათ შორის:									
4	303.5	485.4	624.2	440.0	447.3	464.6	638.0	471.3	562.1
6	287.1	344.2	389.7	447.6	487.2	433.7	448.1	513.1	536.0
3	286.5	439.3	500.2	488.3	529.4	356.4	315.9	320.1	361.4
2	263.1	344.5	375.2	319.2	379.8	373.2	362.1	384.0	421.7
5	207.7	300.4	378.5	381.1	316.1	233.5	258.0	271.0	284.2
1	118.0	138.7	159.7	160.2	205.3	207.9	189.3	230.7	245.3
7	4.1	2.4	4.1	29.7	6.8	11.7	3.4	9.8	94.6

\* წინასწარი მონაცემები.

როგორც ცხრილებიდან ჩანს ევროკავშირიდან განხორციელებული საქონლის იმპორტის შედეგად, SITC-ს მიხედვით პირველ ადგილზე არის მე-7 სექცია, რომელსაც შეესაბამება „მანქანები და სატრანსპორტო მოწყობილობები“. ხოლო BEC-ის მიხედვით პირველ ადგილზეა მე-4 ჯგუფი, რომელსაც შეესაბამება „კაპიტალური საქონელი (გარდა სატრანსპორტო მოწყობილობებისა), მათი ნაწილები და საკუთნობები“. განსხვავებას სექციებს და ჯგუფებს შორის თითოეულ მათგანში განსხვავებული სასაქონლო ჯგუფის ჩართულობა ქმნის. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომეკლატურის მე-40 (კაუჩუკი, რეზინი და მათი ნაწარმი), 59-ე (ტექსტილის მასალები, გაჟღენთილი, დაფარვითა ან დუბლირებული; ტექნიკური დანიშნულების ტექსტილის ნაწარმი) 73-ე (შავი ლითონების ნაწარმი) და 76-ე (ალუმინი და ნაკეთობები მისგან) ჯგუფები, რომელთა

იმპორტიც სასაქონლო ნომეკლატურის კიდეც სხვა ჯგუფებთან ერთად ზრდის BEC-ის მე-4 სექციის ღირებულებით მაჩვენებელს. რაც შეეხება SITC-ს მე-7 სექციას, მის ზრდაზე უმეტეს გავლენას ევროკავშირიდან იმპორტის შემთხვევაში მსუბუქი ავტომობილები ახდენენ, რომელიც როგორც უკვე ავღნიშნეთ ქვეყანათა ამ ჯგუფის გაერთიანებიდან იმპორტის უმსხვილეს სასაქონლო ჯგუფებში არიან მოქცეულები.

SITC-ს მიხედვით მეორე ადგილზე არის მე-3 სექცია - „მინერალური საწვავი, საცხები და მათთან დაკავშირებული მასალები“, რომელშიც გაერთიანებულია საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომეკლატურის 27-ე (მინერალური საწვავი, ნავთობი და მათი გამოხდის პროდუქტები; ბიტუმოვანი ნივთიერებები; მინერალური ცვილები) ჯგუფის სხვა და სხვა საქონელი, მათ შორის ნავთობი და ნავთობპროდუქტები, რომელიც როგორც უკვე ავღნიშნეთ ევროკავშირიდან იმპორტირებულ უმსხვილეს სასაქონლო ჯგუფებში შედის.

SITC-ს მე -3 სექციის და BEC-ის მე-3 ჯგუფის (საწვავი და საცხები მასალები) შემადგენელი სასაქონლო ჯგუფები თითქმის ერთი და იგივეა. განსხვავება არის მხოლოდ საცხებ მასალებში, რომელიც ემატება BEC-ის ამ ჯგუფს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომეკლატურის 34-ე (საპონი, ზედაპირულად აქტიური ორგანული ნივთიერებები, სარეცხი საშუალებები, საპოხი მასალები, ხელოვნური და მზა ცვილები, საწმენდი და საპრიალებელი შემადგენლობები, სანთლები და ანალოგიური ნაწარმი, სამერწი პასტები, პლასტილინი, „კბილსამკურნალო ცვილი“ და შემადგენლობები თაბაშირის საფუძველზე კბილსამკურნალო მიზნებისათვის) და 44-ე (მერქანი და მისი ნაწარმი; ხის ნახშირი) ჯგუფიდან. გამომდინარე იქედან, რომ ამ ორი ჯგუფის შესაბამისი საქონლის იმპორტი ევროკავშირის ქვეყნებიდან 2010-2018 წლებში არ იყო დიდი რაოდენობის, BEC-ის მე-3 ჯგუფის და SITC-ს მე-3 სექციის ჯამური მაჩვენებლებს შორის განსხვავება ძალიან მცირეა.

თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სასაქონლო ნომეკლატურიდან დასახელებული ჯგუფების ყველა საქონელი შედის ამა თუ იმ სექციაში. მათი დეტალიზაცია შესაძლებელია 11 ნიშნა დონემდე და შეიძლება განსხვავებული კლასიფიკაციების სხვა და სხვა სექციაში ერთი და იგივე 2 ნიშნა სასაქონლო ჯგუფი მოხვდეს, მაგრამ დეტალიზაციის შედეგად მივიღოთ სურათი, სადაც ერთ სექციაში შეიძლება მოხვდეს

რომელიმე უფრო მეტად დეტალიზებული საქონელი მეორეში კი არა, მიუხედავად იმისა რომ ისინი ერთი და იგივე ჯგუფს ეკუთვნიან.

რაც შეეხება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით კლასიფიკატორს, იგი გამოიყენება სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, სერტიფიცირების, საწარმო-საფინანსო, საბანკო, საბაჟო-სატარიფო და სხვა სამსახურების საქმიანობაში.

თუ BEC-ის და SITC-ს შემთხვევაში სექციების და ჯგუფების ღირებულებითი მაჩვენებლების ცვლილება დაკავშირებული იყო საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომეკლატურის შესაბამის საქონელთან, ამ შემთხვევაში აქცენტი კეთდება ორგანიზაციებზე და მათ მიერ დაფიქსირებულ ეკონომიკური საქმიანობის სახეებზე.

მაგალითად განვიხილოთ ევროკავშირის ქვეყნებიდან ტოპ იმპორტიორ კომპანიათაგან: „შპს რომპეტროლ საქართველო“ და „სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველო“.

„შპს რომპეტროლ საქართველო“-ს ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში<sup>3</sup> დაფიქსირებული აქვს შემდეგი საქმიანობის სახეები:

G.46.71.4 საბითუმო ვაჭრობა ბენზინით;

G.46.71.5 საბითუმო ვაჭრობა დიზელის სათბობით.

შესაბამისად, ამ ორგანიზაციის მიერ განხორციელებული საქონლის იმპორტი გაზრდის ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით კლასიფიკატორის G სექციას.

„სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველო“-ს ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში დაფიქსირებული აქვს შემდეგი საქმიანობის სახეები:

H.49.50.0 ტრანსპორტირება მილსადენებით;

H.52.10.0 დასაწყობება და შენახვა;

H.52.24.0 ტვირთის დატვირთვა-განტვირთვა.

ამ ორგანიზაციის მიერ განხორციელებული საქონლის იმპორტი გაზრდის ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით კლასიფიკატორის H სექციას.

---

<sup>3</sup> [https://rea.napr.gov.ge/main.php?m=new\\_index](https://rea.napr.gov.ge/main.php?m=new_index)

ცხრილი N 3.20.

საქართველოს იმპორტი ევროკავშირის ქვეყნებიდან ეკონომიკური საქმიანობის სახეების (NACE Rev. 2) მიხედვით

(მლნ. აშშ დოლარი)

სექციის კოდი	სექციის დასახელება	2015	2016	2017	2018*
	<b>სულ</b>	<b>2,080.9</b>	<b>2,214.8</b>	<b>2,200.0</b>	<b>2,505.3</b>
	მათ შორის:				
G	საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	1,330.0	1,327.5	1,452.8	1,526.9
C	დამამუშავებელი მრეწველობა	174.2	210.7	215.7	240.2
H	ტრანსპორტი და დასაწყობება	111.2	295.9	143.9	135.6
F	მშენებლობა	93.2	98.7	97.4	137.1
O	სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება	21.9	33.7	46.0	99.8
D	ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება	71.3	26.3	16.7	37.8
J	ინფორმაცია და კომუნიკაცია	37.1	31.8	26.7	23.4
N	ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	24.9	23.4	18.4	32.9
Q	ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	23.9	20.3	17.2	29.4
I	განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	18.4	19.2	23.8	26.8
A	სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	24.6	18.7	22.7	21.2
B	სამთომოპოვებითი მრეწველობა	13.4	8.4	14.8	13.6
K	საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	12.3	6.4	12.0	15.0
M	პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	13.6	9.7	7.2	13.6
R	ხელოვნება, გართობა და დასვენება	10.9	9.2	9.7	6.0
L	უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	15.7	6.0	6.1	4.2
E	წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	1.7	4.7	6.3	6.3
P	განათლება	1.4	1.1	1.5	12.0
	დანარჩენი სექციები**	81.2	63.3	61.1	123.6

\* წინასწარი მონაცემები.

რაც შეეხება ევროკავშირიდან საქონლის იმპორტს მოვაჭრე სუბიექტების ზომის მიხედვით, აღნიშნულთან დაკავშირებულ მონაცემები მოცემულია ცხრილ N 3.21-ზე.

**ცხრილი N 3.21.**

**საქართველოს იმპორტი ევროკავშირის ქვეყნებიდან მოვაჭრე სუბიექტების ზომის მიხედვით**

(მლნ.აშშ დოლარი)				
ზომის ერთეული	2015	2016	2017	2018*
<b>სულ</b>	<b>2,080.9</b>	<b>2,214.8</b>	<b>2,200.0</b>	<b>2,505.3</b>
მათ შორის:				
მსხვილი	894.3	1,113.10	1,026.90	1,019.00
საშუალო	527.8	504.4	530.1	671.7
მცირე	537.4	533.7	592.8	723
ზომა	121.4	63.7	50.3	91.6
უცნობია				

\* წინასწარი მონაცემები.

საგარეო ვაჭრობაში მონაწილე სუბიექტების ზომა განისაზღვრება შემდეგი მეთოდოლოგიით:

მსხვილი - ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა აღემატება 249 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნ ლარს.

საშუალო - ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 50-დან 250 კაცამდე, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 12 მლნ ლარიდან 60 მლნ ლარამდე.

მცირე - ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 50 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 12 მლნ ლარს.

ზომა უცნობია - მოცემულ ეტაპზე სუბიექტის ზომა განსაზღვრული არ არის.

ცხრილი N 3.22.

საქართველოს იმპორტი ევროკავშირის ქვეყნებიდან ტრანსპორტირების სახეების მიხედვით

(მლნ.აშშ დოლარი)

ტრანსპორტის სახეობა	2016	2017	2018*
<b>სულ</b>	<b>2,214.8</b>	<b>2,200.0</b>	<b>2,505.3</b>
მათ შორის:			
საავტომობილო ტრანსპორტი	1,035.3	999.4	1,113.2
სარკინიგზო ტრანსპორტი	1.8	10.0	6.8
საზღვაო ტრანსპორტი	895.8	860.1	965.7
საჰაერო ტრანსპორტი	281.8	330.2	418.8
დანარჩენი ტრანსპორტი**	0.1	0.3	0.7

\* წინასწარი მონაცემები.

\*\* მაგისტრალური მილსადენი, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა დანარჩენი ტრანსპორტის სახეობა.

როგორც ცხრილიდან ჩანს, საქონლის იმპორტი საქართველოში ევროკავშირის ქვეყნებიდან უმეტესად ხორციელდება საავტომობილო ტრანსპორტის საშუალებით, მეორე ადგილზე არის საზღვაო, შემდეგ საჰაერო და ბოლოს სარკინიგზო ტრანსპორტი.

სარკინიგზო ტრანსპორტით ჩვენს ქვეყანაში ევროგაერთიანებიდან შემოსული საქონლის ღირებულებითი მაჩვენებელი 2017 წლიდან იზრდება. ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს 2017 წლის 30 ოქტომბერს ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის გახსნა. გახსნის ცერემონიაში მონაწილეობა მიიღეს აზერბაიჯანისა და თურქეთის პრეზიდენტებმა- ილჰამ ალიევმა და რეჯეფ თაიფ ერდოღანმა, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა - გიორგი კვირიკაშვილმა, ასევე უზბეკეთისა და ყაზახეთის პრემიერ-მინისტრებმა.

ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზას მნიშველოვანი გეოპოლიტიკური დატვირთვა აქვს. გარდა იმისა, რომ ეს პროექტი ერთმანეთს დააკავშირებს სამ მასში უშუალოდ მონაწილე პარტნიორ ქვეყანას, ამასთან ახალი რკინიგზის მეშვეობით შესაძლებელი ხდება აზიიდან ევროპაში რკინიგზის მეშვეობით როგორც მოსახლეობის ისე ტვირთების გადატანა. გამომდინარე აქედან ამ პროექტს რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენელმა „რკინის აბრეშუმის“ გზა უწოდა.

რკინის აბრეშუმის გზას დადებით მხარეებთან ერთად საფრთხეები და ნაკლოვანებებიც გააჩნია. გამომდინარე იქიდან, რომ ბაქო-თბილისი-ყარსი ითვლება

რუსეთის ალტერნატივად, შესაბამისად მის მიმართ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი არაა კეთილად განწყობილი. აქედან გამომდინარე რუსეთმა შეიძლება დაგეგმოს სხვა სარკინიგზო მარშრუტი, რომელიც აზიას ევროპასთან დააკავშირებს. ამას კი მოყვება ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის რენტაბელობის დაეცემა. ჯერ-ჯერობით ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ბაქო-თბილისი-ყარსი ერთგვარ ალტერნატივად ითვლება იმ სარკინიგზო გზის, რომელიც საბჭოთა დროს აზერბაიჯანიდან თურქეთში სომხეთის გავლით გადიოდა. ეს გზა აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მომხდარი სამხედრო კონფლიქტის შემდგომ დაიკეტა. ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების შემთხვევაში ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტს კიდევ ერთი კონკურენტი გამოუჩნდება. ასევე მნიშვნელოვანია, საქართველოს საზღვაო პორტების რენტაბელობის საკითხი რკინის აბრეშუმის გზის ამოქმედების შემდგომ. ერთის მხრივ საქართველოსთვის კარგია, რომ ჩვენ ქვეყანაზე გაივლის რკინიგზის გზა, რომლის მეშვეობითაც იაფად მოხდება პროდუქციის და მოსახლეობის გადაყვანა აზიიდან ევროპაში და პირიქით. თუმცა მეორეს მხრივ ეს გარკვეულწილად შეამცირებს ქართული პორტების დატვირთვას. იმ ფაქტს თუ გავითვალისწინებთ, რომ ანაკლიაში იგეგმება მსხვილი საპორტო ქალაქის მშენებლობა, სადაც 1 მილიარდ დოლარზე მეტი ინვესტიციის ჩადება იგეგმება, ანაკლიის პორტი და რკინიგზა გარკვეულწილად ერთმანეთის კონკურენტებად ჩამოყალიბდებიან.

ევროკავშირმა დადებითად შეაფასა რკინიგზის გახსნა და უწოდა მას სატრანსპორტო კავშირების მთავარი ელემენტი, რომელიც აერთიანებს ევროკავშირს თურქეთთან, აზერბაიჯანთან, საქართველოსთან და ცენტრალურ აზიასთან. ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის სიგრძე 826 კილომეტრს შეადგენს, აქედან საქართველოს ტერიტორიაზე 254 კილომეტრი გაივლის.

რკინის აბრეშუმის გზის პროექტი მიუხედავად მცირე ნაკლოვანებებისა უნდა შეფასდეს დადებით და ქვეყნისათვის სტრატეგიულ პროექტად. გარდა ეკონომიკური სარგებლისა, რომელისაც ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა საქართველოს მოუტანს, ის გახდება ჩვენი ქვეყნის ევროპასთან და აზიასთან დამაკავშირებელი იაფი და მარტივი გზა. რაც საშუალებას მისცემს ქართველ ბიზნესმენებს უფრო მარტივად მოახდინონ

ზიზნეს კონტაქტების მოძიება თუ მათთვის საინტერესო პოდეუქციის, როგორც იმპორტი ისე ექსპორტი.

## დასკვნა

ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში საქონლის იმპორტის დინამიკის განხილვამ ქვეყნების, ორგანიზაციების, საწარმოთა ზომების, ტრანსპორტირების სახეების, საქონლის, ფართო ეკონომიკური კატეგორიების, საქმიანობის სახეების და საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული კლასიფიკაციის მიხედვით მოგვცა საშუალება შეგვეფასებინა ევროკავშირის, როგორც ჩვენი ქვეყნისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი და სტრატეგიული სავაჭრო პარტნიორის როლი საქართველოს საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში.

საქართველოს საქონლით საგარეო ვაჭრობის მონაცემების შედარება ევროკავშირის ქვეყნებთან გართულებულია განსხვავებული სავაჭრო სისტემების გამოყენების გამო, თუმცა რიგ შემთხვევებში საქონლის მოძრაობასთან დაკავშირებული დეტალების დაზუსტება საშუალებას გვადლევს განვახორციელოთ სავაჭრო პარტნიორების და ჩვენი ქვეყნის საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაციის რაციონალური სარკისებური შედარება.

2014 წელს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების (DCFTA) გაფორმებას საქართველოს საქონლის იმპორტზე დიდი გავლენა არ მოუხდენია.

2010-2018 წლებში იმპორტის ქვოტა ევროკავშირის ქვეყნებიდან მხოლოდ 2,6 პროცენტით გაიზარდა, რაც არც ისე დიდი მაჩვენებელია.

ამის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ევროპული ბაზარი შედარებით უცხოა ქართული კომპანიებისთვის. მათი მრავალწლიანი სავაჭრო ურთიერთობა და კავშირები ძველ პარტნიორებთან კი არც ისე მარტივი დასათმობია.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს შეთანხმება საქართველოს ექსპორტის სტიმულირებას უფრო ახდენს, ვიდრე იმპორტის. მაგალითად ავიღოთ ავტომობილები, რომლებზეც DCFTA -ს ამოქმედების მომენტიდან საბაჟო გადასახადი გაუქმდა. იმპორტირებული მსუბუქი ავტომობილების გადასახადი ზოგადად ორი ნაწილისგან შედგება: აქციზის გადასახადი და საბაჟო მოსაკრებელი. გაუქმებული საბაჟო მოსაკრებელი შეიძლება იყოს 200-დან 500 ლარამდე. ხოლო რაც შეეხება აქციზს,

რომლის რაოდენობაც გაცილებით მაღალია, მისი გადახდა იმპორტიორს ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგაც უწევს.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირიდან ჩვენს ქვეყანაში შემოტანილი ყველა საქონლის წილი საქართველოს მთლიანი იმპორტის მესამედსაც არ შეადგენს, ცალკეული საქონლის, მაგალითად ევროგაერთიანებიდან შესყიდული ნავთობი და ნავთობპროდუქტები შეფარდებით გაცილებით მაღალია, დანარჩენი მსოფლიოდან განხორციელებულ აღნიშნული საქონლის იმპორტთან შედარებით.

ზოგადად, ნებისმიერი ტიპის ვაჭრობის ლიბერალიზაციას აქვს ეკონომიკური რესურსების გადანაწილების დადებითი ეფექტი, რომელიც უმეტეს შემთხვევაში გრძელვადიან პერიოდში მიიღწევა. ევროკავშირი კი იყო და რჩება საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან და სტრატეგიულ სავაჭრო პარტნიორად. ევროპიდან იმპორტირებული საქონლით ეროვნული ბაზრის გაჯერება და პირიქით საქართველოში წარმოშობილი პროდუქტის ევროგაერთიანების ქვეყნებში ექსპორტი მომავლის პერსპექტივაში არსებით გავლენას მოახდენს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ კურსზე და მის განვითარებაზე.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. მარშავა ქ., საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკა (ლექციების კურსი), თსუ;
2. მენქიუ გრეგორი, ეკონომიკის პრინციპები, გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, 2008 წ.;
3. ხმალაძე მ. სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2011 წ.;
4. ძევისაური ლ., საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური შესწავლა, სადოქტორო დისერტაცია, თსუ, თბილისი, 2012 წ.;
5. საქართველოს საბაჟო კოდექსი კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო) 25/07/2006;
6. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 17/09/2010;
7. International Merchandise Trade Statistics: Concepts and Definitions 2010, United Nations;
8. NACE Rev. 2 Statistical classification of economic activities in the European Community, 2016;
9. Standard International Trade Classification Revision 4, 2006;
10. Classification by Broad Economic Categories Revision 4, 2003;
11. Balance of Payments and International Investments Position Manual” (BPM6) (International Monetary Fund, Washington D.C., USA, 2008., Sixth Edition), 2009;
12. <https://matsne.gov.ge/> - სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“;
13. <https://www.rs.ge> - სსიპ „შემოსავლების სამსახური“;
14. <https://www.geostat.ge/ka> - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური / საგარეო ვაჭრობა;
15. <http://www.dcfta.gov.ge/> - ვებ-პორტალი DCFTA
16. <http://forbes.ge/>
17. <http://smr.gov.ge/>
18. <https://comtrade.un.org/>

19. <https://www.wikipedia.org/>
20. <https://napr.gov.ge/>
21. <http://www.insse.ro/cms/en/>
22. <http://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2496959> ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის.
23. <https://www.imf.org/external/index.htm>